ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 15 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად „რჩეული ქართული ზღაპრების“ მეორე ტომი

3 ლარად




ორშაბათი, 15 აპრილი, 2013 | №88 (6089) | ფასი: 30 თეთრი

# გია ცაგარეიშვილი: „გირგვლიანის საქმეზე ბევრი მაღალჩინოსანი წავა ციხეში“

### ნაცმოძრაობა მზადაა, სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს

„ჩვენ არავის არ ვემუქრებით. ჩვენ მხოლოდ სამართლიანობას აღვადგენთ. ყველაფერს კი საზოგადოება განსჯის. ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნის ის მიზეზი, რისთვისაც 19 აპრილს აქციას მართავენ. არავის არ სჯერა, რომ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას საფრთხე შექმნა. 23 აპრილს ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგში მიდის, სადაც ევროსაბჭოს წინაშე სიტყვით უნდა გამოვიდეს. ივანიშვილი საქართველოს რუსეთში რომ მიაქანებდეს, იქ რატომ წავიდოდა? საქართველოს საგარეო კურსი არ შეუცვლია. სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყველაფერს იკადრებენ იმისთვის, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას სახელი გაუტეხონ".


გვ.3



## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილმა პუტინს აფხაზეთი და სამაჩაბლო ლანგარზე დადებული მიართვა“

გვ.5

## დათა ახალაია და მეგიზ ქარდავა ზუგდიდში იმყოფებიან?

— გვ. 3 —

## არჩილ ფრანგიშვილი: „უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომს“ როგორც საკუთარი, ისე ყველა სტუდენტისა და მთელი ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით“

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

გვ.7



## სანდრო თვალჭრელიძე: „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა გახდეს“

გვ.3



## ილია II: „ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ქართული ენით დაგვაჯილდოვა“

გვ.2

## დავით ლილუაშვილი: „სოზარ სუბარის მიმართ პრეტენზიები არავის აქვს“


გვ.4

## აგვისტოს ომის გამოძიებას გიორგი თევზაძეც ითხოვს

გვ.4




## ივანიშვილმა პრეზიდენტი მიწაზე დადო

რატომ მიდის ივანიშვილი თავისთვის პოლიტიკურად წამგებიან ნაბიჯზე?

გვ.6



## 2 აპრილიდან!

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა სამტომეულის მესამე ტომი

8 ლარი




ISSN 1987-9385

**2** „ქურდული სამყაროს“ წევრები დააკავეს

**6** კუკავას პარტიამ „სოკარის“ სარეკლამო ბანერზე ქართულენოვანი წარწერები გააკეთა

**2** ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულმა პირებმა გუგუთიანთკარში ძარცვა ცადეს

**6** „საერთო სასამართლოების შესახებ კანონი ვენეციის რეკომენდაციებს არ ეწინააღმდეგება“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## გიგი უგულავა: „ივანიშვილი ომის დროს ქვეყნიდან გასასვლელად კორიდორს ითხოვდა“

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, „არავის სჯერა, რომ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ომის დროს ქვეყნიდან გასასვლელად კორიდორს ითხოვდა, ობიექტური გამოძიების ჩატარება შეუძლია“.

ამის შესახებ უგულავამ აგვისტოს ომის გამოძიების დაწყების კომენტირებისას განაცხადა.

„საერთაშორისო საზოგადოებამ ობიექტური გამოძიების შედეგები თავის დროზე დადო, ტალიავინის კომისიის მიერ. არავის სჯერა, რომ კბილაშვილს, რომელიც ომის დროს თავის „მასკოვსკაია კვარწირაში“ იჯდა, შეუძლია, რაიმე ობიექტური გამოძიების ჩატარება. არავის არ სჯერა, რომ ლაშა ნაცვლიშვილს, რომელიც ყოველთვის თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში პირდაპირ რუსეთის მოკავშირე იყო, რაიმე ობიექტური გამოძიების ჩატარება შეუძლია. რა თქმა უნდა, არც იმის სჯერა ვინმეს, რომ ივანიშვილი ურეკში გასაქცევად გამზადებული იყო და სარფში კორიდორს ითხოვდა საქართველოდან გასვლისთვის, ობიექტური გამოძიების უნარი აქვს. ასე რომ, ჯობია პრობლემებს მივხედოთ, რომელიც სამწუხაროდ, ქვეყანაში დაგროვდა“, – განაცხადა უგულავამ.

პირველი

## „ქურდული სამყაროს“ წევრები დააკავეს

შსს-მ „ქურდული სამყაროს“ წევრები დააკავა. „შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წევრები, წარსულში მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირები: 1973 წელს დაბადებული მიხეილ ხ, 1984 წელს დაბადებული გიორგი კ, 1988 წელს დაბადებული გიორგი გ და 1988 წელს დაბადებული გიორგი თ. დააკავეს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ოთხივე ბრალდებული „ქურდული სამყაროს“ წევრობას აღიარებს.

„ისინი მოქალაქეებისგან ე.წ. ქურდულ გარჩევებზე, დაშინებისა და მუქარის გზით გარკვეულ თანხებს ითხოვდნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებულები თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს“, – ნათქვამია განცხადებაში. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პირველი

## ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულმა პირებმა გუგუთიანთკარში ძარცვა ცადეს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულმა პირებმა გუგუთიანთკარში ძარცვა ცადეს. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია აღნიშნული.

„13 აპრილს გორის რაიონის სოფელ გუგუთიანთკარში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულ რამდენიმე უცნობ პირს ადგილობრივი მცხოვრების ამირან გუგუტიშვილის საკარმიდამო მიწაზე სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაძარცვის მცდელობა ჰქონდათ. აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე, შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო შექმნილ ვითარებას.

ცხელი ხაზის ამოქმედების შედეგად, ევროკავშირის მონიტორების დახმარებით, დანაშაული დროულად აღიკვეთა და ნაქურდალი მეპატრონეს დაუბრუნდა“, – ნათქვამია განცხადებაში.

პირველი

# სანდრო თვალჭრელიძე: „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა გახდეს“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძესთან:



***— ბატონო სანდრო, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატებს კიდევ რამდენიმე კანდიდატი დაემატა, საუბარია არმაზ ახვლედიანზე და პაატა ბურჭულაძეზე. რას იტყვით ამ კულუარულ ხმებზე? შეიძლება რეალობასთან ახლოს იყოს?***

— ვინაიდან მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავდივართ და პრეზიდენტს, როგორც იტალიაში ან ისრაელში, მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია ექნება, მნიშვნელოვანია იყოს არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, არამედ უცხოეთში და საქართველოში ცნობადი ფიგურა. ჩემთვის საუკეთესო კანდიდატი მერაბ მამარდაშვილი იქნებოდა, ცოცხალი რომ იყოს. ასევე ნიკო ჭავჭავაძე. ყურადღებას ასეთ საზოგადო მოღვაწეებზე გავამახვილებდი. არა აკაკი ბაქრაძეზე, რომელიც ქართველებს გვიყვარს, არამედ სწორედ ასეთ ფიგურებზე. რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ კანდიდატებს, ამ თვალსაზრისით ჩემთვის ორივე კანდიდატი მისაღებია. ორივეს უაღრესად დიდ პატივს ვცემ. ეს ორი კანდიდატი რომ იყოს წარმოდგენილი, არჩევანი გამიჭირდებოდა.

***— საპარლამენტო რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ არსებობს არგუმენტი, რომ ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობა აქვს აღსადგენი და ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა არსებობდეს. რას იტყვით?***

— ეს აბსოლუტურად მცდარი აზრია. სწორედ ამ მდგომარეობაში საპარლამენტო რესპუბლიკა გაცილებით ჯობია. საპარლამენტო რესპუბლიკა დიპლომატიური ლავირების დიდ შესაძლებლობებს იძლევა. მით უმეტეს, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი ძლიერია. დიდ ბრიტანეთში თუ ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი არ არის, რა პრობლემაა.

***— თუმცა, დიდ ბრიტანეთში საუკუნოვანი გამოცდილება არსებობს და ალბათ ამას აქვს მნიშვნელობა...***

— დიახ, მაგრამ ოდესღაც ხომ დაიწყეს მათაც. საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი ნამდვილად კარგია. ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობას დიდწილად აგვაცილებს. ქვეყანაში, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა, ვეღარ გაკეთდება. ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი გზით მივდივართ. „ექსპერტთა კლუბში“ როდესაც ბიძინა ივანიშვილს შევხვდით, შეშფოთება გამოთქვა, რომ როგორც პრემიერ-მინისტრს, დიდი ძალაუფლება ეძლევა. კონსტიტუციონალისტებს სთხოვა, პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას და პრეზიდენტს შორის ძალაუფლება დაბალანსდეს. ეს აბსოლუტურად სწორი პოზიციაა. ასევე მეჩვენება, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიც ბევრად უფრო სწორი მიმართულებით დასახელდნენ, ვიდრე ადრე. საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც უკვე ოფიციალურად დასახელდება „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ მისაღები უნდა იყოს, სომხებისთვისაც, აზერბაიჯანელებისთვისაც და ყველასთვის. ფიგურა, რომელიც გამაერთიანებელი იქნება, რადგან ის წარმომადგენლობითი იქნება.

***— მიმდინარე პროცესებზე მინდა გკითხოთ, ხელისუფლების მიერ აქამდე გადადგმული ნაბიჯების მიმართ, რაიმე სახის შენიშვნა ხომ არ გაქვთ ან პირიქით?***

— რეგიონებში ძალიან ბევრს დავდივარ. თბილისიდან რომ გახვიდეთ, ნახავთ, ყანები როგორ არის კულტივირებული. 20 წლის განმავლობაში ეს პირველად მოხდა. პირველად ხდება სარწყავი არხების რეაბილიტაცია. საქართველომ თავისი აგრარული პოტენციალი უნდა გამოავლინოს. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ძალიან მომწონს. არ მომწონს პროფესიონალიზმის ნაკლებობა გახმაურებული საქმეების გამოძიების მიმართულებით. აუცილებელია, დაჩქარდეს სასამართლო რეფორმა. ამ მიმართულებით ნაბიჯები უფრო სწრაფად და ხისტად უნდა გადაიდგას.

***— პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ამ საკითხებზე თუ გქონდათ საუბარი?***

— რასაკვირველია, გარკვეულ საკითხებზე საუბარი იყო, მაგრამ არ ვფიქრობდით, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა ასე გაჭიანურდებოდა.

***— ამ მუხრუჭის მიზეზი, როგორ ფიქრობთ, რა არის?***

— კოჰაბიტაცია. ეს არის კოჰაბიტაციის დადებით-უარყოფითი მხარეები, მაგრამ ეს არის ცივილიზებული, პოლიტიკური ურთიერთობები, რომელსაც ახლა ვეჩვევით.

***— გამოდის, საერთაშორისო დონეზე ეს უფრო მისაღებია, ვიდრე საქართველოში რიგითი ამომრჩევლისთვის?***

— საქართველო მაგალითია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც ავტორიტარული რეჟიმებია. მაგალითია რუსეთისთვის, უკრაინისთვის, მოლდავეთისთვის, ბელორუსიისთვის და სხვა ქვეყნებისთვის. ჩვენ, ამ ქვეყნების ხალხს დემოკრატიული მოძრაობის იმედს ვუბრუნებთ. ვუბრუნებთ იმედს, რომ მშვიდად, არჩევნების გზით, დემოკრატიულად შეიძლება ხელისუფლების შეცვლა. ამავდროულად იმ ქვეყნის ლიდერებს უნდა ვაჩვენოთ, რომ მათ სიცოცხლეს დიდი საფრთხე არ ემუქრება. კოჰაბიტაციის მაგალითი უნდა ვნახოთ. შეიძლება ეს დიდი მოსათმენი იყოს ჩვენთვის, მაგრამ ეს არის მენტალური გადასახადი, რომელიც უნდა გადავიხადოთ, როგორც ნოვატორებმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

***— ამას ადვილად გაიგებს რიგითი ამომრჩეველი, რომელმაც ხმა სამართლიანობის აღდგენას მისცა?***

— რაც შეეხება რიგით ამომრჩეველს, ეს მისთვის რთული გასაგები არ უნდა იყოს, რადგან მან უნდა დაიბრუნოს სიამაყე, რომ ის ამ ქვეყნის შვილია, რომელიც დავკარგეთ. უნდა ვიყოთ ამაყი, რომ ვართ იმ ქვეყნის შვილები, რომელიც სხვებისთვის მაგალითია. ჩვენ მაქსიმალისტები ვართ, სწრაფები, რადგან სამხრეთული, ხმელთაშუა ზღვის ტემპერამენტი მოქმედებს. თუმცა, ყველაფერს აქვს განვითარების სტადიები: დასაწყისი, განვითარება და დასასრული. წყნარად და დინჯად უნდა ველოდოთ დასასრულს, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იქნება. ნებისმიერ პროცესს თავისი თვისებები აქვს, რომელსაც ვერ გავექცევით და თუ შევებრძოლებით, უარესი იქნება. ყველაფერი კანონზომიერად მიდის.

## პოლიციის შენობის ესკიზური პროექტების კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლიციის შენობის ესკიზური პროექტების კონკურსში არქიტექტორმა ლაშა ბარბლიშვილმა და შპს „დემარკმა“ გაიმარჯვეს. შს სამინისტროში გამართულ დაჯილდოვების ცერემონიალს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილიც ესწრებოდა.

„გამოცხადდა ღია კონკურსი პოლიციის შენობის ესკიზური პროექტების. დაახლოებით, 51-მა მიიღო მონაწილეობა. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ გერმანიდან, იტალიიდან, უცხოეთიდან მიიღეს მონაწილეობა, ასევე არქიტექტორებმა და დიზაინერებმა. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღეთ 51 ესკიზური პროექტი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ჟიური შევადგინეთ და დავაკომპლექტეთ შემდეგნაირად – ჟიური დაახლოებით, 5 პროფესიონალი არქიტექტორისგან შედგებოდა, ხოლო 2 ჩვენი სამინისტროს წარმომადგენელი იყო. ჟიურიმ მიიღო ობიექტური გადაწყვეტილება. ვფიქრობ, რომ ეს არის პრეცენდენტი, ეს არის საკითხებისადმი ახალი მიდგომა, რომ ქვეყანაში და ამ სამინსიტროში ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება აღარ ხდება. ჩვენ პირიქით, აზრი პროფესიონალებს დავეკითხეთ და გადაწყვეტილება მათ მიიღეს. ასეთი მიდგომა სასარგებლო იქნება ზოგადად ქვეყნისთვისა და საქმისთვის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ჟიურის თავმჯდომარემ ნიკა შავიშვილმა კი გამარჯვებულთა ვინაობა დაასახელა. კონკურსის შედეგად ჟიურიმ საუკეთესო ნამუშევრები ორ ნომინაციაში გამოავლინა. კერძოდ, საუკეთესო შენობა პოლიციისათვის თბილისში, ამ ნომინაციაში გამარჯვებული შპს „დემარკის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი გახდა, ხოლო ბორჯომში პოლიციის შენობა 1989 წელს დაბადებული, ახალგაზრდა არქიტექტორის ლაშა ბარბლიშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აშენდება.

ცნობითვის, სამინისტრომ ღია კონკურსი პოლიციის შენობის საუკეთესო ესკიზურ პროექტზე 22 მარტს გამოაცხადა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს 5 000 ლარის ოდენობით ფულადი პრემიით დააჯილდოვებს.

პირველი

## თაღლითობის ბრალდებით ძებნილი მამაკაცი დააკავეს

სამართალდამცველებმა თაღლითობის ბრალდებით ძებნილი მამაკაცი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, 1970 წელს დაბადებული მაქსიმე ს. ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაფარცხმაში დააკავეს. აღსანიშნავია, რომ მაქსიმე ს. 2011 წლიდან სამტრედიის რაიონული პოლიციის მიერ 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ჩადენილი დანაშაულისთვის იძებნებოდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მან გერმანიაში 30-მდე ავტომანქანის „ვინ-კოდები“ გააყალბა და თანამზრახველების დახმარებით საქართველოში ჩამოიყვანა. ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ მას იმავე წელს დაუსწრებლად თავისუფლების 9 წლით აღკვეთა მიუსაჯა. ამ დროისთვის დაკავებული ქუთაისის მე-2 საპყრობილეშია გადაყვანილი.

პირველი

## ილია II: „ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ქართული ენით დაგვაჯილდოვა“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II განცხადებით, ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ქართული ენით დაგვაჯილდოვა.

ამის შესახებ პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო



წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ჩვენი დიდი წინაპარი, წმინდა ილია მართალი ამბობს, „მამული, ენა, სარწმუნოება“. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ქართული ენით დაგვაჯილდოვა. ქართული ენა ეს არის უდიდესი საიდუმლოებით მოცული ენა. როგორ ფიქრობთ, იოანე ზოსიმეს, რომელიც წერს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომ არ ჰქონოდა საფუძველი, გაბედავდა ეთქვა, რომ უკანასკნელ ჟამს ქართული ენით განისჯება მსოფლიო? ეს იმას ნიშნავს, რომ ეს აზრი იყო იოანე ზოსიმემდეც“, – ბრძანა პატრიარქმა.

მისივე თქმით, საქართველოს ქუჩებში აბრებზე წარწერები უცხოურ ენაზეა გაკეთებული.

„ამიტომ ჩვენ შევთხოვოთ უფალს, რომ მოგვცეს ძალა და სიბრძნე, რათა ვიცოდეთ ქართული ენის ძალა და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებასა და მომავალში“, – აღნიშნა პატრიარქმა.

პირველი

## მანანა კობახიძე: „აგვისტოს ომის გამოძიებით გაირკვევა, როგორ იქცეოდნენ ამ მძიმე დღეებში კონკრეტული თანამდებობის პირები“

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, „აგვისტოს ომის გამოძიებით გაირკვევა, როგორ იქცეოდნენ ამ მძიმე დღეებში კონკრეტული თანამდებობის პირები“.

ამის შესახებ კობახიძემ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თომას ჰამერბერგის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმად, „გამოძიებული იქნება, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებები აგვისტოს ომის დროს და არა ის, თუ ვინ დაიწყო ომი“.

„აქ არის საუბარი იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც არ არის ჩვენი დაწყებული და ჩვენი აღძრული.

აქ არ არის საუბარი ვინ დაიწყო ომი, აქ საუბარია იმ მძიმე დღეებში, როგორ იქცეოდნენ კონკრეტული თანამდებობის პირები და ხომ არ იყო მათ ქმედებებში გარკვეული დანაშაულის ნიშნები. არავინ დაობს იმაზე, რომ რუსეთმა აგრესია განახორციელა“, – განაცხადა კობახიძემ.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ცაგარეიშვილი: „გირგვლიანის საქმეზე ბევრი მაღალჩინოსანი წავა ციხეში“

## ნაცმოძრაობა მზადაა, სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს

შორენა მარსაგიშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი ნაციონალების ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს, უსაფუძვლოდ და გადაჭარბებულად მიაჩნია ხმები იმის შესახებაც, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა შეჩერებულია.**

როგორ ახორციელებს „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენას, რას ემსახურება სააკაშვილის განცხადებები, შეიძინა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ 19 აპრილის აქციის დასარბევად „დუბინკები“. რატომ ხვდებიან ასე ხშირად ერთმანეთს საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა, ამ თემებზე დეპუტატი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობამ და მთავრობამ დახურული შეხვედრა გამართეთ. ერთ-ერთი ვერსიით ამ შეხვედრაზე ნაციონალების დაგეგმილ აქციაზე იყო საუბარი.***

— ეს შეხვედრა არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. ასეთი შეხვედრები ბოლო დროს სისტემატურად იმართება. მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ერთმანეთს 10 დღეში ერთხელ მაინც ვხვდებით. ჩვენ ვართ ერთი გუნდი და გვაქვს ერთიანი პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებებიც ერთიანად უნდა მივიღოთ. მთავრობასა და პარლამენტს შორის კომუნიკაცია უწყვეტი და მუდმივი უნდა იყოს. ამ შეხვედრებს ბუნებრივია ესწრებიან მაჟორიტარებიც. მათ რეგიონებიდან ჩამოაქვთ პრობლემები. კარგია, როცა დეპუტატებს მინისტრებთან მოთათბირების საშუალება აქვთ. ამ ცხრა წლის მანძილზე მინისტრები ძალიან ხშირად იყვნენ მიუწვდომელი. მათთან დაკავშირება დეპუტატებსაც კი არ შეეძლოთ, მოქალაქეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახლა, საბედნიეროდ, ასე აღარ არის.

***— ასეთი შეხვედრები გამოიღებს რაიმე შედეგს?***

— აუცილებლად გამოიღებს. ამ შეხვედრებში უშუალოდ პრემიერია ჩართული. ასეთი შეხვედრების გამართვა სწორედ მისი ინიციატივა გახლავთ.

***— ასეთ შეხვედრებზე აზრთა სხვადასხვაობა თუ იჩენს ხოლმე თავს. არის თუ არა თქვენს გუნდში დაპირისპირება. დღეს ეს თემა საკმაოდ აქტუალურია.***

— ჩვენს გუნდში არანაირი დაპირისპირება არ არის და არც შეიძლება იყოს. ერთმანეთთან დასაპირისპირებელი არაფერი არა გვაქვს.

***— აზრთა სხვადასხვაობაც არ არის?***

— როგორ არ არის, მაგრამ ეს დაპირისპირების მიზეზი არ ხდება. ჩვენთვის ახლა მთავარი საზრუნავია, როგორ შევასრულოთ ის დაპირებები, რომლებიც ხალხს წინასაარჩევნოდ მივეცით. საბედნიეროდ, ამ დაპირებების ნაწილი უკვე შესრულებულია. პირადად მე ძალიან მახარებს, ის რომ სკოლის მოსწავლეები სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ. ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა.



***— ძველი ხელისუფლება ასე არ ფიქრობს. ნაციონალებმა ეს გადაწყვეტილება ლამის კატასტროფად ჩათვალეს.***

— ამ უაზრო საუბრებს ნაციონალებს ურჩევნიათ გავიდნენ გარეთ. ნახონ ის ოჯახები, რომლებსაც ლუკმაპურის ფული არ გააჩნიათ. ამ ოჯახებს უთხრან, რომ სასკოლო წიგნების უფასოდ დარიგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს არღვევს. ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ. ჩვენ დავიცავთ ჩვენს კონსტიტუციას. სადაც წერია, რომ ზოგადი განათლება ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ დავარიგებთ წიგნებს უფასოდ.

***— ითქვა, რომ ეს გადაწყვეტილება შესაძლოა კორუფციული გარიგებების საფუძველი გახდეს. დაისვა კითხვა, რა პრინციპით შეირჩევა გამომცემლობები, რომლებიც ამ წიგნებს დაბეჭდავენ.***

— აქამდე წიგნებს ნაციონალებთან შეზრდილი 3-4 ფირმა ბეჭდავდა. ისინი წელიწადში 60 მილიონს შოულობდნენ. ახლა წიგნების დასაბეჭდად სახელმწიფო გაიღებს 10-12 მილიონ ლარს. ეს თანხა გადაერიცხებათ იმ სტამბებს, რომლებიც ტენდერებს მოიგებენ. აქამდე სასკოლო სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი იბეჭდებოდა თურქეთში. საქართველოს ბიუჯეტი თურქ მეწარმეებს უხდიდა დიდ თანხებს წიგნების ბეჭდვაში. თანხა გაედინებოდა სხვა ქვეყანაში. როგორი მეგობარიც უნდა იყოს თურქეთი, თანხის გადინება არის მიუღებელი. მით უმეტეს, რომ აქაც არის შესაძლებელი წიგნების დაბეჭდვა.

***— რამდენად ხარისხიანად დაბეჭდავენ ადგილობრივი სტამბები სასკოლო სახელმძღვანელოებს?***

— სტამბები, რომლებიც მოიგებენ ტენდერებს, შეიძენენ ახალ დანადგარებს და მომავალი სასკოლო წლისთვის ბევრად უკეთეს წიგნებს დაბეჭდავენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ბავშვები უფასოდ მიიღებენ სასკოლო წიგნებს. ეს უამრავ ოჯახს ცოტაოდენ შეღავათს მისცემს. საქართველოში, სამწუხაროდ, სოციალურად დაუცველსა და სხვა ფენებს შორის ზღვარი ფაქტიურად გამქრალია. რამდენიმე დღის წინ ყველამ ვნახეთ, რა მდგომარეობა იყო რუსთავში. როცა სკოლის მოსწავლეები ქსეროქსზე იღებდნენ სახელმძღვანელოებს. ამ ბავშვების ოჯახებს წიგნების შესაძენი ფული არ ჰქონდათ. ეს მოსწავლეები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არ ყოფილან. საუბედუროდ, ჩვენთან უამრავი ოჯახი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა. ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. ასე რომ, უფასო წიგნები საქილიკო თემა არ არის. იმ ბიზნესმენებს, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით ტენდერებს იგებდნენ, თუ ეს ყველაფერი ეწყინათ, ცივი წყალი დალიონ. ჩემთვის მთავარია, ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იყოს განათლება. სულ არ მადარდებს, დავით დარჩიაშვილი და მისნაირი ვაი-სპეციალისტები ტანისამოსს თუ შემოიხევენ.

***— დარჩიაშვილი და მისი თანაგუნდელები მარტო სასკოლო სახელმძღვანელოების გამო არ იხევენ ტანზე სამოსს. ისინი იმ ზეწოლას აპროტესტებენ, რომელსაც თქვენი ხელისუფლება „საწყალ“ ნაციონალებზე ახორციელებს. რატომ „ძალადობთ“ ოპონენტებზე?***

— მათი მხრიდან ზეწოლაზე ჩივილი სასაცილოა. რა გითხრათ, ისიც კი არ ვიცი, ენას, განსაკუთრებით კი ნაციონალების ენას, ძვალი არა აქვს. ლაპარაკის გარდა საქმეზეც გადავიდნენ და ორგანიზაციების შექმნაც დაიწყეს. 2 დღის წინაც შეიქმნა რაღაც ორგანიზაცია, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენ ნაციონალებს სამსახურებიდან ვყრით.

***— არ ყრით ნაციონალებს სამსახურებიდან?***

— რა თქმა უნდა, არა. ამის ნათელი მაგალითია გარემოს დაცვის სამინისტრო. ამ უწყების ცენტრალურ აპარატში ასზე მეტი ადამიანი მუშაობს. ამ ექვსი თვის მანძილზე მხოლოდ 2 ადამიანი იქნა სამსახურიდან გათავისუფლებული. იგივე ვითარებაა გარემოს დაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ მოქცეულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენ მაისის შუა რიცხვებიდან ვაცხადებთ უზარმაზარ კონკურსს. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2 000 ვაკანსია იქნება. ყველას შეუძლია განცხადების შემოტანა.

***— მათ შორის ნაციონალებსაც?***

— ბუნებრივია. და ზედმეტი მითქმა-მოთქმა რომ არ ატყდეს, ამ პროცესს კარგად დააკვირდნენ ხაჩიძეები, დარჩიაშვილები, თაქთაქიშვილები, ნადირაშვილები. ყველა ვაკანსიაზე იქნება კონკურსი გამოცხადებული, გარდა მინისტრის, მისი მოადგილეების და სააგენტოს ხელმძღვანელებისა. მეტყევეების, რეინჯერების და სხვა თანამდებობების დაკავება ყველას შეუძლია. მთავარია, კონკურსი გაიარონ.

***— რეინჯერებზე ამბობდნენ, რომ მათი ნაწილს ძველი ხელისუფლება ზონდერებად იყენებდა და ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ აქციების დარბევებში. ამაზე თქვენ თუ გაქვთ რამე ინფორმაციები?***

— არაფერს არ გამოვრიცხავ. მათ შესაძლო ზონდერობაზე ხშირად მომდიოდა ხმები. იგივეს ამბობდნენ დაცული ტერიტორიების თანამშრომლებზეც. არსებობს უდანაშაულობის დაცვის პრეზუმფცია. მყარი სამხილი თუ არა გაქვს, ვერავისზე ვერაფერს ვერ იტყვი. მე ახლა მათი საქმიანობის შესწავლას არ დავიწყებ. ვერც იმას გავარკვევ, ვინ სად ზონდერობდა და რომელ მიტინგს არბევდა. ეს მათ ნამუსზე იყოს.

***— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ზონდერები დაუსჯელები დარჩებიან?***

— პირველ რიგში, ისინი უნდა დაისაჯონ, რომლებმაც ეს მახინჯი სისტემა შექმნეს. ამ სიმახინჯის მთავარი არქიტექტორი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ. დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან, მაგრამ დასასჯელ პირთა სია უსასრულო ვერ იქნება. ყველა რომ დავსაჯოთ, ციხეები ისევ გადაივსება. ჩვენ არ ვაპირებთ, ხალხი უბრალო გადაცდომისათვის ციხეებში ჩავყაროთ. ასეთი მიდგომა ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.

***— სამართლიანობის აღდგენა როგორ უნდა მოხდეს? „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი პირობა სწორედ ეს იყო.***

— სამართალი აუცილებლად აღდგება. 6 თვეში 300-მდე საჯარო მოხელეა უკვე პასუხისგებაში მიცემული. ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის არის ძალიან დიდი ციფრი. დასასჯელ პირთა სია აუცილებლად გაიზრდება. ჩვენ წინ გველოდება რამდენიმე ხმაურიანი მკვლელობის გამოძიება. მთავარმა პროკურორმა უკვე რამდენჯერმე თქვა, რომ ეს საქმეები ფაქტიურად უკვე გახსნილია. მარტო გირგვლიანის საქმეზე წავა ბევრი ადამიანი ციხეში. საუბარია, როგორც მაღალი რანგის ჩინოსნებზე, ასევე საშუალო რანგის ბიუროკრატებზე. საქმეები აუცილებლად იქნება გამოძიებული და დამნაშავეებიც დაისჯებიან.

***— ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიდის. რაც ხალხის გაღიზიანებას იწვევს.***

— კარგად მესმის მათი, მაგრამ მართლმსაჯულების აღსრულებას სიჩქარე არ უყვარს. ამიტომ ვმოქმედებთ ნელა. ეს კეთდება იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანები არ დაისაჯონ. ჩვენი მომხრეების დიდი ნაწილი ელოდა, რომ 3 თვეში დავაკავებდით მთელ ნაციონალურ მოძრაობას და ზედ მივაყოლებდით უამრავ ნაძირალსაც, რომლებიც მიტინგებზე დარბოდნენ და ხალხს ატერორებდნენ. გიმეორებთ, ეს ხალხი დაისჯება, მაგრამ მათი ბრალეულობის დამტკიცება იქნება საკმაოდ რთული. ჩვენ მემკვიდრეობით დეზორგანიზებული სამართალდამცავი სისტემა გვერგო. შსს, პროკურატურა და სასამართლო ერთამენთთან იყო შეზრდილი და პოლიტიკურ ჟანდარმერიას წარმოადგენდა, სადაც ვერ გაიგებდი, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ამა თუ იმ უწყების უფლებამოსილება. ამას ყველაფერს დალაგება და დაწყობა სჭირდება. საქმე იქამდეა მისული, რომ კვალიფიციური გამომძიებლის შერჩევაც კი ჭირს. მე არ მიკვირს, როცა ნელ სამართალზე საქმეში ჩაუხედავი ხალხი გვსაყვედურობს. საქმეში ჩახედული ზოგიერთი ვაი ექსპერტის კრიტიკა კი ნამდვილად მიუღებელია. კი ბატონო, ვეთანხმები, რომ პროკურატურაში პრობლემებია. ამ პრობლემების გამოსწორებას ხომ დრო უნდა? ეს არის იაფი პოპულიზმი, რომლითაც მავანი ჩვენს საზოგადოებას აბრუებს. ასეთი განცხადებებით ისინი ჩვენი მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამენ წყალს.

***— პროკურატურის და სამართალდამცავების საქმიანობით ნაციონალებიც უკმაყოფილო არიან.***

— მათი უკმაყოფილება სხვა ამბავია. ჯერ ისაა გასარკვევი, რატომ ითვლება ეს ხალხი ოპოზიციად. როგორ შეიძლება, თავის დროზე მეც ოპოზიციონერი ვიყავი და ახლა გაბაშვილი, ხაჩიძე და წიკლაურიც ოპოზიციონერები არიან? ან ის 6 დეპუტატია ოპოზიციონერი, რომლებიც პროკურატურაში დაკითხვაზე არ ცხადდებიან? ოპოზიციონერის სახელს რომ ატარებ, გარკვეული მორალური პრინციპებიც უნდა დაიცვა. მორალი და ნაციონალები კი ერთმანეთთან არანაირ შეხებაში არ არიან. ამიტომ უხერხულია და გაუგებარია მათი მხრიდან მორალზე საუბარი. ასევე გაუგებარია, რატომ აპირებს ეს ხალხი 19 აპრილს შეკრებას.

***— ნაციონალები ავრცელებენ ხმებს, რომ შსს-მ 19 აპრილის აქციის დასარბევად „დუბინკები“ შეიძინა. მართალია ეს ინფორმაცია?***

— ეს არის ძალიან დიდი სისულელე. ვის რაში სჭირდება „დუბინკები“? მათ დარბევას არავინ არ აპირებს. სახელმწიფო სტრუქტურები მათთვის ხელისხლებას არ აპირებენ. გარწმუნებთ, იქ არაფერი არ მოხდება.

***— რაიმე სახის პროვოკაციასაც გამორიცხავთ?***

— მათგან ყველა ტიპის პროვოკაცია მოსალოდნელია. ჩვენ ეს პროვოკაცია თავიდან უნდა ავიცილოთ. 8 თებერვალს კარგი გაკვეთილი მივიღეთ ჩვენ. უგულავას და სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეებს პროვოკაციებს აღარ მოვაწყობინებთ. ამ ადამიანებისაც კარგად მესმის. მათ ცალი ფეხი ციხეში აქვთ და ყველაფერზე მიდიან. არაფერი არ გამოუვათ, ისინი ჩადენილი დანაშაულებისთვის აუცილებლად წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე. იციან, რომ თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა, ამიტომაც გადმოვიდნენ თავდასხმაზე. ეს ყველაფერი მათ შეუტრიალდებათ ცუდად.

***— კონტრშეტევის განხორციელებას აპირებთ?***

— ჩვენ არავის არ ვემუქრებით. ჩვენ მხოლოდ სამართლიანობას აღვადგენთ. ყველაფერს კი საზოგადოება განსჯის. ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნის ის მიზეზი, რისთვისაც 19 აპრილს აქციას მართავენ. არავის არ სჯერა, რომ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას საფრთხე შეექმნა. 23 აპრილს ბიძინა ივანიშვილი სტრასბურში მიდის, სადაც ევროსაბჭოს წინაშე სიტყვით უნდა გამოვიდეს. ივანიშვილი საქართველოს რუსეთში რომ მიაქანებდეს, იქ რატომ წავიდოდა? საქართველოს საგარეო კურსი არ შეუცვლია. სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყველაფერს იკადრებენ იმისთვის, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას სახელი გაუტეხონ.

***— სააკაშვილი ქვეყნის სათავეში ოქტომბრამდე დარჩება. ხელისუფლების იმიჯის შესალახად დიდი დრო აქვს.***

— ამ პერიოდს ის ყველანაირად გამოიყენებს. მისი გამოსვლები პოლონეთში იყო საშინელება. სააკაშვილი შემდეგი პრინციპით მოქმედებს: ჩემ შემდეგ თუნდაც წარღვნა ყოფილა. იგივეს აკეთებენ მისი თანაგუნდელები. თაქთაქიშვილებს, ხაჩიძეებს წიკლაურებს, ბარამიძეებს, გაბაშვილებს, დარჩიაშვილებს გადაწყვეტილი აქვთ, პოლიტიკურ სამარეში ჩაყვნენ სააკაშვილს. ძველ ეგვიპტეში ფარაონებს სარკოფაგში ატანდნენ ცოლებს, მხევლებ,. მსახურებს, ცხენებს, კატებს. ესენიც მიჰყვებიან და თავად გაარკვიონ, რომელი რომელი იქნება. და კიდევ მაინტერესებს, რა ნამუსით ატარებს სააკაშვილი რუსთაველის გამზირზე აქციას? ეგ არ იყო, 2 თვის წინ რუსთაველს საძულველ ქუჩას რომ ეძახდა? განაცხადა, დამთავრდა ის დრო, როცა ყველაფერი ერთ საძულველ ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე წყდებოდაო. ახლა კი იმავე ქუჩაზე მოინდომა ევროპული არჩევანის დაცვა.

# დათა ახალაია და მეგიზ ქარდავა ზუგდიდში იმყოფებიან?

შორენა მარსაგიშვილი

სამხედრო პოლიციის ყოფილი შეფი მეგიზ ქარდავა კვლავ აქტუალურია. რამდენიმე დღის წინ „პირველმა რადიომ“ მასთან დაკავშირებით სკანდალური ცნობა გაავრცელა.

„პირველი რადიოს“ ცნობით ქარდავას მეოცნებეებისთვის დაუბარებია, ან გაათავისუფლებთ ბაჩო ახალაიას ან არადა თქვენზე კომპრომატებს ინტერნეტით გავავრცელებო. მეგიზ ქარდავას მოგეხსენებათ კომპრომატები ოხრად აქვს.

ამ დღეებში კი მასთან დაკავშირებით მორიგი ცნობა გავრცელდა. ეს ინფორმაცია ორგანიზაციამ „ახალგაზრდული გაერთიანება = მიყვარხარ საქართველო“ გაავრცელა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდული გაერთიანება – მიყვარხარ საქართველო“ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, რომ დათა ახალაია და მეგიზ ქარდავა, რომლებიც ძებნაში იმყოფებიან, თავს ზუგდიდს აფარებენ.

„ახალგაზრდული გაერთიანება – მიყვარხარ საქართველოს“ ინფორმაციით, ქარდავა და ახალაია 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობის აქციის პარალელურად, აფხაზეთის დე-ფაქტო საზღვართან პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ.

ტექსტს, რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, „ივერონმა“ გამოაქვეყნა. აი რას წერს ორგანიზაცია:

— სანდო წყაროზე დაყრდნობით ვავრცელებთ ინფორმაციას! მეგიზ ქარდავა, რომელიც იმყოფება ზუგდიდში და ამასთანავე მასთან ერთად როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ დათა ახალაია. მათ ჰყავთ კონკრეტული დაჯგუფება ადამიანებისა, ასევე აქვთ პოლიციის ფორმები და ისინი 19 აპრილს ანუ ნაციონალების აქციის დღეს აპირებენ აფხაზეთის საზღვართან მოახდინონ თავიანთი ბინძური ზრახვის განხორციელება, რასაც ალბათ ხვდებით რა საპასუხო რეაქციები მოჰყვება!.. ასევე,გარკვეული ჯგუფი აპირებს ასევე ბინძური ზრახვის განხორციელებას ჩვენი პრემიერის მისამართით, ასევე 19 აპრილს. მეგობრებო, ჩვენი თხოვნაა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაავრცელოთ ეს ინფორმაცია, რაც შეიძლებმა მეტმა გააზიარეთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანთან ისაუბრეთ ამ ინფორმაციის შესახებ.



ხმები ახალაიას და ქარდავას სამშობლოში დაბრუნებაზე ბევრჯერ გავრცელდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ისინი თავს აფხაზეთში აფარებდნენ. ახლა კი ამბობენ რომ ისინი ზუგდიდში არიან.

ამ ინფორმაციას არც ნაციონალები არ ადასტურებენ და არც მეოცნებეები. სამაგიეროდ „ქართულ ოცნებაში“ ეჭვი არ ეპარებათ რომ ნაციონალები ყველაფერზე წავლენ.

# დავით ლილუაშვილი: „სოზარ სუბარის მიმართ პრეტენზიები არავის აქვს“

შორენა კოწოწაშვილი

**უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ქმედებაუნარიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ მთავრობის ქმედებაუნარიანობის შემთხვევაში დღეს, ბაჩო ახალაიას მსგავსად, გისოსებს მიღმა იქნებოდნენ ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი. ლილუაშვილი, აფასებს რა პრემიერის ბოლოდროინდელ განცხადებებს, ფიქრობს, რომ მინისტრთა კაბინეტიდან ბიძინა ივანიშვილის უკმაყოფილებას არა სუბარი, არამედ ირაკლი ალასანია იწვევს.**

არის თუ არა ხალხში იმედგაცრუება, რას უნდა ველოდეთ 19 აპრილს ვანო მერაბიშვილის ინიციატივით დაანონსებული აქციისგან და რაზეა წამსვლელი სააკაშვილის გუნდი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს უფლებადამცველ დავით ლილუაშვილთან.

– ბატონო დავით, როგორც უფლებადამცველი, რა პრობლემებს გამოყოფდით ახალი ხელისუფლების მუშაობის 6 თვის შედეგების თავზე და რამდენად სწორად უწოდეს სამართლიანობის აღდგენის პროცესს პოლიტიკური ფლირტი ნაციონალურ მოძრაობასთან?

– ხელისუფლებას პრობლემები რომ აქვს, ამას არც პრემიერ-მინისტრი მალავს. მასმედიის საშუალებების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ივანიშვილი სწორედ ამაზე საუბრობდა, აკრიტიკებდა პროკურატურისა და პოლიციის სისტემაში არსებულ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ივანიშვილის კრიტიკას დადებითად ვაფასებ, თუმცა მხოლოდ კრიტიკა საკმარისი არ არის და ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. უნდა ითქვას, რომ, ივანიშვილის მსგავსად, არც საზოგადოებას ეპარება ეჭვი კბილაშვილისა და ღარიბაშვილის პატიოსნებასა და გულწრფელობაში, მაგრამ საქმეს მხოლოდ ეს ვერ უშველის. არაფერი გამოვა მანამ, სანამ მთავარ პროკურორსა და შს მინისტრს ისევ გვერდით ის პროკურორები და პოლიციელები ეყოლებათ, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ და ასრულებდნენ ყველაზე ოდიოზურ და სისხლიან დაკვეთებს. საზოგადოებამ 1 ოქტომბერს ხმა სამართლიანობის აღდგენას მისცა და იმას, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური ჰარმონია ჰქონოდათ. უფრო მეტიც, ხალხმა იმისთვის მოიყვანა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, რომ ისინი, როგორც პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ნაციონალურ მოძრაობას პარაშუტებით დაშვებაში დახმარებოდნენ.

– არის თუ არა მართლაც ისეთი ქმედითი ივანიშვილის მთავრობა, როგორც ამას პრემიერი წარმოაჩენს? ფაქტია, ქვეყანაში კრიმინალმა იმატა და ციხიდან მასობრივად ამდენი პატიმრის გამოშვებამ ქურდობისა და დაყაჩაღების ფაქტები გაზარდა.

– ივანიშვილის ხელისუფლება ქმედითი რომ იყოს, სამართლიანობის აღდგენის პროცესი უკვე დაწყებული იქნებოდა და ბაჩო ახალაიას გვერდით ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ისხდებოდნენ. რაც შეეხება კრიმინოგენურ სიტუაციას, ამ პრობლემის განხილვა და შეფასება არ უნდა იყოს ზედაპირული, თორემ არასწორ დასკვნებს გამოვიტანთ. პირველი, რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები აუცილებლად უნდა განტვირთულიყო. ჩვენ ხომ ევროპის ქვეყნებს შორის, პატიმართა გადაჭარბებული რიცხოვნობით, სამარცხვინო ადგილი გვეკავა. მეორე კი ის გახლავთ, რომ ამნისტიის შედეგად არ გათავისუფლებულან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დამნაშავეები, მით უმეტეს, ძალადობრივი მუხლებით მსჯავრდებულები. მძიმე მუხლებით მსჯავრდებულ პატიმრებს მიხეილ სააკაშვილი იწყალებდა. ამ კატეგორიის მსჯავრდებულები დიდი რაოდენობით არჩევნების წაგების შემდეგ სწორედ მან გაათავისუფლა იმისათვის, რომ მომატებული კრიმინალით შეწუხებული ხალხი ახალი მთავრობის მიერ განხორციელებული ამნისტიით უკმაყოფილო დარჩენილიყო. შედეგიც სახეზეა.

– ამნისტიის ხარვეზების შედეგებს ვიმკით?

– როგორ გითხრათ, ახალი ხელისუფლების მიერ ინიცირებული ამნისტიის კი არა, სააკაშვილის ობსტრუქციისა და მზაკვრული მიზნების შედეგებს ვიმკით.

– პრემიერი არ მალავს, რომ ერთი-ორი მინისტრის მიმართ კითხვები არსებობს. თქვენი აზრით, რომელი უწყების პირველი პირი უნდა შეიცვალოს და უნდა იყოს თუ არა ამ სიაში სოზარ სუბარი?

– არა მგონია, საუბარი სოზარ სუბარზე იყოს. თუ იმას გულისხმობთ, რაც უკავშირდება სასჯელაღსრულების სამინისტროს ქვემდებარე ერთ-ერთი დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მაია ხასიას მიერ გამოცხადებულ ტენდერს, რომელსაც დიდი სკანდალი მოჰყვა, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიას ქმედებებს არანაკლები სკანდალი მოჰყვა. ხასაია გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო თელია კვლავ თანამდებობაზე რჩება. მგონი, გასაგებად ვთქვი ყველაფერი. აქედან გამომდინარე, არა მგონია, საუბარი სოზარ სუბარზე იყოს. ალბათ, ეს უფრო ირაკლი ალასანია და მისი რომელიმე თანაგუნდელია. ივანიშვილსა და ალასანიას შორის ხომ მას შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა, როცა ალასანიას მხრიდან ივანიშვილთან შეუთანხმებლად მოხდა მისი პრეზიდენტობის ამბიციის დეკლარირება. თუ გახსოვთ, სწორედ ამიტომაც გაათავისუფლა პრემიერმა ის ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან.

– საზოგადოების ერთი ნაწილი და პოლიტპატიმრები აცხადებენ, რომ მათ ხმა რესპუბლიკური პარტიისა და იმ ტენდენციისთვის არ მიუციათ, რომელიც პოლიტიკურ ფლანგზე იკვეთება. ამიტომ 14 აპრილს ყოფილი პოლიტპატიმრები ხმაურიანი აქციისთვის ემზადებიან. სამართლიანია მათი პროტესტი?

– რა თქმა უნდა. რესპუბლიკური პარტიისთვის ხმა არავის მიუცია. უფრო სწორად, თუ ბოლომდე ობიექტური ვიქნები, ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა მათ ხმა არ მისცა. რესპუბლიკელებს ყველა არჩევნების დროს ამომრჩეველთა ხმების 2-3% ჰქონდათ. რესპუბლიკური პარტია რომ დაბალრეიტინგულია, ეს ამ პარტიის ლიდერებმაც იციან. როგორც ჩანს, პოლიტპატიმართა მიერ დაანონსებული 14 აპრილის ღონისძიება ცოტა გადაიწევს, თუმცა ამით მათი და საზოგადოების პროტესტი, ვფიქრობ, უფრო მზარდი იქნება. სამოქალაქო საზოგადოებაში არის ნეგატიური განწყობა კოჰაბიტაციის პროცესისადმი. პოლიტპატიმრები და საზოგადოების სოლიდური ნაწილი უკვე დიდი ხანია ითხოვს ივანიშვილის ხელისუფლებისაგან სამართლიანობის აღდგენას და სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას, თუმცა ეს მოთხოვნა შეუსრულებელი რჩება. ასე რომ, საქმე გვაქვს ერთგვარ იმედგაცრუებასთან და, რაც უფრო მეტი დრო გავა, პროტესტი უფრო მძაფრი იქნება. ხალხი შეუსრულებელ დაპირებებს არავის აპატიებს.

– ახლოვდება 19 აპრილი, ნაციონალების ძალების დათვალიერების დღე. თქვენი აზრით, სერიოზული პროვოკაციისთვის ემზადება სააკაშვილის გუნდი, რომელიც ფიქრობს, რომ ივანიშვილი საქართველოს რუსეთის ფედერაციაში მიაქანებს?

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 19 აპრილის მიტინგის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ვანო მერაბიშვილია, ნამდვილად ყველაფერს უნდა ველოდეთ. სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის ხერხემალი – მერაბიშვილი – ყველაზე ბინძურ პროვოკაციაზეც კი არ იტყვის უარს. სასაცილოა ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია სახელწოდებით „ევროპული არჩევანი“. რა ევროპულ არჩევანზეა მათი მხრიდან საუბარი?! თუ ვინმე უკეთებდა იგნორირებას ევროპულ კურსსა და ფასეულობებს, სწორედ ნაციონალები იყვნენ. ყველამ კარგად ვიცით, თავის დროზე ვინ გადასცა რუსეთს ფინანსური ინტერესების გამო საქართველოს ეროვნული აქტივები, სტრატეგიული ობიექტების სახით; ვინ ჩააბარა რუსეთს 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების 20%.



– თქვენ არაერთ პოლიტპატიმარს იცნობთ, რომლებიც მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით იყვნენ დაკავებული. რამდენად სწორი პოზიცია დაიკავა სამხედროებთან მიმართებით ახალმა ხელისუფლებამ? ფაქტია, ყოფილ სამხედროთაგან ითქვა, რომ ნაციონალების მიერ სოფლებში იარაღია გადამალული და მერაბიშვილისა და მისი თანამოაზრეების აქტიურობას შეიძლება სერიოზული პროვოკაციები ახლდეს.

– ის, რომ ე.წ. მუხროვანელები პატიმრობიდან პოლიტპატიმართა სტატუსით გათავისუფლდნენ, ამისთვის დიდი მადლობა ახალ ხელისუფლებას, თუმცა, რატომ არ ხდება მათი შესაძლებლობების კვლავ ქართულ შეიარაღებულ ძალებში რეალიზება, ეს ნამდვილად გაუგებარია. ისინი ხომ მაღალპროფესიონალი სამხედროები და გმირები არიან, რომელთა ზურგზეც გადაიარა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ვნახოთ, იქნებ რამე შეიცვალოს. თუ ნაციონალები წავლენ სამოქალაქო დაპირისპირებაზე, მერაბიშვილსა და სააკაშვილს ვერც იარაღი და ვერც ძვირადღირებული ლობისტები ვერ უშველით. კარგად გაიხსენონ ეგვიპტისა და, მით უფრო, ლიბიის მაგალითები. გამწარებულ ხალხს ვერაფერი ველარ შეაჩერებს.

– დაბოლოს, ამ პოლიტიკურ რეალობაში, რას ურჩევდით ხელისუფლებას?

– ხელისუფლების წარმომადგენლებმა დროულად უნდა დაიწყონ საარჩევნო დაპირებების შესრულება, ხალხთან ისევე ახლოს უნდა იყვნენ, როგორც 1 ოქტომბრამდე და, რაც მთავარია, უნდა აღადგინონ სამართლიანობა და გაასამართლონ სააკაშვილის რეჟიმი.

# აგვისტოს ომის გამოძიებას გიორგი თევზაძეც ითხოვს

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი გიორგი თევზაძეს მიაჩნია, რომ აუცილებელია ყველა საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს სახელმწიფოებრივი მიდგომითა და ქვეყნის სუვერენული ინტერესების გათვალისწინებით, ამასთანავე, აუცილებელია, ნებისმიერმა პირმა ყველა ინტერესზე მაღლა დააყენოს სახელმწიფო ინტერესი.**

გიორგი თევზაძე ეხმიანება განცხადებას 2008 წლის ომთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებასა და, შესაბამისად, კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალება რუსეთის 2008 წლის აგრესიის ფაქტთან დაკავშირებული მოქმედებების ხელახალი გამოძიება.

– შეშფოთების საფუძველს ქმნის ცალკეული საუბრებისას დაფიქსირებული პოლიტიკური მოტივები, რომელიც უკავშირდება 2008 რუსეთის აგრესიისას ცალკეული მოქმედებების თავიდან გამოძიებას. პირველ რიგში საყურადღებო და გასათვალისწინებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილია, 2008 წლის რუსეთის აგრესიის ფაქტთან დაკავშირებული ქმედებების გამოძიება განახორციელოს ქართულმა მხარემ, რათა არ გახდეს ეს საკითხი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობის საგანი,




– განაცხადა გიორგი თევზაძემ პრესკონფერენციაზე.

გიორგი თევზაძის თქმით, აუცილებელია, სრულფასოვნად მოხდეს ყველა სახის დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების მქონე მოქმედებების გამოძიება, რათა ყველაფერს ნამდვილი სახელი დაერქვას.

– თუმცა, ასევე აუცილებელია, ყველაფერი გაკეთდეს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და სახელმწიფო უსაფრთხოების ამოცანებს. სამართლიანობა მოითხოვს, სამართლებრივად შეფასდეს არა მარტო ქართველი ჩინოვნიკების შესაძლო გადაცდომის ფაქტები, არამედ სხვადასხვა წლებში, განსაკუთრებით, 1992 წლიდან მოყოლებული, რუსეთის მხრიდან ომის არა მარტო ინსპირირების, არამედ დაწყებისა და სხვადასხვა წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის აგრესიაზე პასუხისმგებელი პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის განცხადებით, ასევე სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს კონფლიქტი არასოდეს ჰქონია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებთან და ეს პროცესები ინსპირირებული იყო მუდმივად ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდგომ მისი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მიერ.

– ?სიც ფაქტია, რომ საქართველო არათუ არასოდეს გადასულა და მიუტაცებია რუსეთის ტერიტორია, არამედ აგრესიის მსგავსი ნაბიჯების გადადგმაც კი არასოდეს უცდია მაშინ, როდესაც არაერთ მეზობელ სახელმწიფოსთან რუსეთს აქვს მიწებზე სადავო ვითარება. ბუნებრივია, ეს ფაქტორები აუცილებლად იქნება მხედველობაში მისაღები სრულფასოვანი ანალიზის გაკეთებისას, – ამბობს გიორგი თევზაძე.

რუსეთის მხრიდან დაფიქსირებული ოკუპირებული ტერიტორიის გაზრდასა და ახლა უკვე სხვა მიწების მიტაცებაზე თევზაძე აცხადებს, რომ პირველ რიგში ხელისუფლების პასუხისმგებელ ორგანოებს ევალებათ, სწორი სამართლებრივი ტერმინებით იხელმძღვანელონ.

– როდესაც არასწორად ხდება ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენება. ამ ოლქის არარსებობის ვითარებაში სწორი იურიდიული ტერმინი იქნება „სამაჩაბლო“ ან „ცხინვალის რეგიონი“. ამაზე, კარგი იქნება, თუ ხშირად მოვუსმენთ ჩვენს ბრძენ კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც ისტორიულ და იურიდიულად გამართულ ტერმინებს იყენებს, – მიაჩნია გიორგი თევზაძეს.

უფლებადამცველი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებსა და უფლებამოსილ კომისიას ასევე სთხოვს, ზემოთ მითითებულ პერიოდებში ჩადენილ უკანონო მოქმედებებთან ერთად, სრულად და ობიექტურად შეისწავლოს იმ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მოქმედებები, რომლებიც ახორციელებდნენ და ახორციელებენ ქართული ტერიტორიების მცოცავ ანექსიას, რომლის ერთ-ერთი ბოლო მაგალითიც ქართულ სოფელ დიცში დაფიქსირდა.

– ასევე გამოძიებულ უნდა იქნეს ქართველების გენოციდის, ქართველების კუთვნილი ქონებ?ს განადგურების, ეთნიკური წმენდის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველთა უკანონო დაკავების, ქართული ენის აკრძალვის, ქართული ისტორიული ძეგლებისა და კვალის მიზანმიმართული განადგურებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ნიშნების შემცველი სხვა მოქმედებების გამოძიება.

გიორგი თევზაძე ამბობს, რომ საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ ფაქტებზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

– სამწუხაროდ, საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული ხელისუფლების მხრიდან იმ რეაგირებებზე, რომელიც მათი მხრიდან ხდება, სხვადასხვა ფორმით ქართული მიწების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. ეს ასევე უკავშირდება გამყოფ ე.წ. საზღვარზე მავთულხლართებისა და კედლის აღმართვას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების შევიწროებას, თანაც იმ ეპოქაში, როდესაც ცივილიზებულმა სამყარომ იზეიმა რუსეთის მიერ აგებული ბერლინის კედლის დანგრევა, – აღნიშნავს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძეს მიაჩნია, რომ ამასთანავე აუცილებელია, სრულად იქნეს დაცული საქართველოს მოქალაქეების კანონიერი უფლებები, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, რადგან, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი საქართველოს მოქალაქის უფლებები იზღუდება, ქართველის, თუ ოსის, აფხაზისა თუ რუსის, სომეხის თუ აზერბაიჯანელის.

– აუცილებელია ქართულ საპატიმროებში მოთავსებული აფხაზებისა და ოსების მდგომარეობის გამოკვლევა, თუმცა, ასევე აუცილებელია ანალოგიურად ყურადღების მიქცევა და გამორკვევა ეთნიკურად იმ ქართველების მდგომარეობისა, რომლებიც მოთავსებული არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე საპატიმროებში.

მხედველობაშია მისაღები ასევე ის გარემოება, რომ პიარზე ორიენტირებულმა თემებმა შესაძლებელია ქვეყნის ინტერესები დააზარალოს.

გიორგი თევზაძის თქმით, ყველაზე მაღლა უნდა დადგეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები.

– ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე 1994 წელს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ თუ თავს არ მოვიტყუებთ, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც წაგვართვა რუსეთმა. ამით რუსეთმა დაგვსაჯა, იმიტომ რომ ჩვენ გამოვთქვით დამოუკიდებლობისა და თავი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილმა პუტინს აფხაზეთი და სამაჩაბლო ლანგარზე დადებული მიართვა“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ სტრატეგიული მართვის ინსტიტუტის დირექტორ პეტრე მამრაძესთან

***— ბიძინა ივანიშვილმა მედიასაშუალებების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ის ისურვებდა, თუ პოლიტიკურ სივრცეში მესამე ცენტრი გაჩნდებოდა, ამიტომ მან შეუთვალა ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილსა და სხვებს, გააძლიერონ საკუთარი პარტიები და გააქტიურდნენ. ამაზე ბურჯანაძემ უპასუხა, რომ მას არ სჭირდება მითითება პარტიის გაძლიერების შესახებ. როგორია თქვენი დამოკიდებულება მესამე ძალის შექმნის თაობაზე? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ეს ხელოვნურად მოხდეს, მაგალითად, იმავე ივანიშვილის კარნახით?***

— ობიექტური ისტორიული პირობების გამო საქართველოში ნამდვილი პოლიტიკური პარტიები არ არსებობს და მათი ჩამოყალიბების პროცესიც კი არ არის დაწყებული. პოლიტიკურ პარტიებად რეგისტრირებულ 100-ზე მეტ გაერთიანებას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ პოლიტიკურ პარტიებთან. ჩვენში არსებული ,,პარტიები“ სხვა არაფერია, თუ არა ერთი ან რამდენიმე ცნობადი სახისა და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის გარშემო გაერთიანებული ადამიანები, რომელთა მიზანია, მოვიდნენ ხელისუფლებაში თავიანთი პირადი ამბიციებისა და ფინანსური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ზოგი ,,პარტია“ ერთგვარ შპს-ს წარმოადგენს, რომელთა ლიდერებმაც მოიპოვეს თავის დროზე ,,ცნობადობა“ და ისწავლეს ამის მეშვეობით ფულის შოვნა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, იმავე ობიექტური ისტორიული მიზეზების გამო, ჩვენთან ჯერჯერობით ძალიან სუსტია სამოქალაქო სექტორი და დამოუკიდებელი მასმედია, განსაკუთრებით ტელევიზია. ასეთ დროს მოქმედებს ცნობილი კანონი: ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად. სწორედ ამის გამო ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ადამიანების ჯგუფი სწრაფად გაირყვნა და ხელისუფლება გადაგვარდა ავტორიტარულ კლეპტოკრატიად ანუ ხაზინის ქურდების ავტორიტარულ რეჟიმად. ბოლო წლებში ეს რეჟიმი ემყარებოდა მხოლოდ ტყუილს, სიძულვილსა და ძალადობას. რომ არა ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში, რეჟიმი და მისი სადისტური სისტემა ციხეში წამების კადრების შემდეგაც შეინარჩუნებდა უმრავლესობას პარლამენტში და, შესაბამისად, სრულ ძალაუფლებას. პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების პრაქტიკულად არარსებობის პირობებში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატიის აღმშენებლობა ქვიშაზე მრავალსართულიანი სახლის აშენებას ემსგავსება. საკმარისია ააგო რამდენიმე სართული, რომ მთელი კონსტრუქცია ჩამოიშლება და თავიდან მოგიწევს ყველაფრის კეთება. ეს ყველაფერი კარგად იცის ბიძინა ივანიშვილმა. გავიხსენოთ მისი ამასწინანდელი განცხადება, რომ ქვეყანა ოც წელიწადზე მეტია წრეზე დადის და დროა, ეს დავასრულოთ და განვითარებას შევუდგეთ. სწორედ ამიტომ განაცხადა მან რამდენჯერმე, რომ უნდა, რაც შეიძლება მალე დატოვოს პრემიერის თანამდებობა და მთელი ენერგია და რესურსები საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას მოახმაროს. ამით აიხსნება მისი ახლანდელი მოწოდებაც. მიმაჩნია, რომ არც ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, არც ქალბატონ სალომე ზურაბიშვილსა და არც სხვებს არ გააჩნიათ ნამდვილი პოლიტიკური პარტიისა და მესამე ძალის შექმნის რესურსი (ქალბატონები მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ თქვენს კითხვაში ისინი ახსენეთ და არა სხვები). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ივანიშვილი არასოდეს იკადრებს შეგნებულად შექმნას ბუტაფორიული, ხელოვნური მესამე ძალა. მისი ზნეობა და პრინციპები გამორიცხავს ასეთ ქმედებას.

***— სამართალი ურმით დადის, ასე მიაჩნია ივანიშვილს. არადა, საზოგადოებას უკვე მოთმინება დაელია და ყოფილი პოლიტპატიმრები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლება არ აღადგენს სამართალს, ამას ხალხი გააკეთებს. როგორ უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა და თუ ხალხის მოთხოვნა ბოლომდე ვერ დაკმაყოფილდება, ხომ არ მივიღებთ ლინჩის წესით გასამართლებას პირდაპირ ქუჩებში?***



— საზოგადოების გარკვეული ნაწილი და პირველ რიგში ყოფილი პატიმრები იმდენად გამწარებული არიან სააკაშვილის სადისტური რეჟიმით, რომ მათი განცხადებები გასაკვირი არ არის. იმავდროულად, მიმაჩნია, რომ მთლიანად ხალხში და საზოგადოებაში არ არის ის მუხტი, რომელიც შეიძლება მასობრივ ძალადობაში გამოიხატოს. ფიზიკური დაპირისპირება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები მასშტაბურ პროვოკაციას მოაწყობენ, უფრო მასშტაბურს, ვიდრე ეს ა.წ. თებერვალში მოაწყვეს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ. იმედი მაქვს, სამართალდამცველები ამას არ დაუშვებენ. ჭეშმარიტ სამართალს მართლაც სჭირდება გარკვეული დრო, ვინაიდან უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური დანაშაულის დამტკიცება რთული საქმეა. ასეთი ადამიანები არ ტოვებენ საბუთებს. ისინი ზეპირად გასცემდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ბრძანებებს და შემსრულებლებიც არ ადებენ მათ ხელს, ვინაიდან ამით თავიანთ თანამზრახველობას გამოავლენენ. არის სხვა მიზეზებიც. წინა ინტერვიუებში ჩვენ ამაზე დეტალურად ვისაუბრეთ. იმედი მაქვს, სასამართლოები მალე გათავისუფლდებიან სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენების მხრიდან ჯერ კიდევ არსებული კონტროლისაგან. ამის შემდეგ დამოუკიდებელი სასამართლო აღარ გამოუშვებს გირაოთი, ზოგჯერ კი გირაოს გარეშეც, აშკარა დამნაშავეებს. გამოძიებაც უფრო სწრაფად და ეფექტიანად წარიმართება და სამართალი ურმით აღარ ივლის.

***— ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ საგარეო კურსი ჯერ კიდევ ბუნდოვანია და აშკარად საჭიროებს მკაფიო ახსნა-განმარტებას. მიგაჩნიათ თუ არა ეს ასე?***

— საგარეო კურსი, რომელსაც ივანიშვილის მთავრობა რეალურად ახორციელებს, არის სწორი და თანმიმდევრული და ნამდვილად არ არის ბუნდოვანი. ამავდროულად, საჭიროა გაცილებით მეტი ახსნა-განმარტება ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს ახსნა- განმარტება უნდა იყოს მკაფიო, ფაქტებით დასაბუთებული და ყველასათვის გასაგები ენით ნათქვამი. ეს განსაკუთრებულად იმიტომ არის საჭირო, რომ სააკაშვილი და მისი ჯამბაზები (,,სქაი ნიუსის“ ტელევიზიის სიტყვებით რომ ვთქვათ) განუწყვეტლად ცილს სწამებენ ახალ მთავრობას, ნებისმიერ ტყუილსა და სიბინძურეს კადრულობენ.

***— აგვისტოს ომის გამოძიების საკითხები ხელისუფლებამ დასვა, რამაც ნაციონალების დიდი პროტესტი გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს, იმისათვის, რომ ქართველებმა მაინც ვიცოდეთ სიმართლე, საჭიროა თუ არა ასეთი გამოძიება?***

— სიმართლე ის არის, რომ კონფლიქტების მოგვარებისა და რუსეთთან ურთიერთობის სფეროში ოთხწლიანი კონტრპროდუქტიული და ავანტიურისტული პოლიტიკის გატარების შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში, სააკაშვილმა განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. ბევრად უფრო დიდი მასშტაბით გაიმეორა ის, რაც ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში ჩაიდინა. 2004 წლის შემდეგ რამდენჯერმე დააპირა ცხინვალის სამხედრო ოპერაციით დაბრუნება, ჰქონდა გეგმები აფხაზეთთან დაკავშირებითაც. იმ წლებში მოხერხდა მისი შეკავება. 2007 წლის გაზაფხულზე ბიძინა ივანიშვილმა ბოლო მომენტში დაარწმუნა ბოკერია და სააკაშვილი, რომ შეიარაღებული ძალებით ცხინვალში შესვლა კატასტროფით დასრულდებოდა. ამერიკელმა მეგობრებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ მხრივ და გადავრჩით მაშინ. 08.08.08-ში ეს ველარ მოხერხდა. 08.08.08-ის ავანტიურითა და შემდგომი უგუნური მოქმედებით ,,იდიოტმა ბავშვმა“ (ასე უწოდა სააკაშვილს რეიგანის ყოფილმა მრჩეველმა დაგ ბენდოუმ) და ,,ჭკუანაღრძობმა“ (კოლინ პაუელის შეფასებით) ლანგარზე მიართვა პუტინს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის საშუალება; ასევე იქ სამხედრო ბაზების განთავსებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საშუალება. ეს ყველაფერი დასავლეთში მაშინვე იცოდნენ. 2008 წლის აგვისტოში და შემდეგ პერიოდში დასავლეთის წამყვან გამოცემებში და ტელევიზიებში გამოქვეყნდა და ითქვა სრული სიმართლე. ჩემს შეფასებებში სწორედ ცნობილი დასავლელი მოღვაწეების ფორმულირებებს ვიყენებ. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ყველაფერი იციან და 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულმა ტალიავინის ანგარიშმა დოკუმენტურად დაასაბუთა ყველაფერი, გამოძიება მაინც აუცილებელია. კრემლის ჩეკისტური რეჟიმის მიერ მანიპულირებულმა სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს ქართველი ერის მიმართ, უპირველესად ყოვლისა კი ეთნიკური ქართველების, ოსებისა და აფხაზების მიმართ და კანონი მოითხოვს იმას, რომ დანაშაული იქნეს ობიექტურად გამოძიებული, დამნაშავეები კი გასამართლებული და დასჯილი კანონის სრული სიმკაცრით. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ დავადგებით საქართველოს გამთლიანების რთულ და გრძელ გზას მანამ, სანამ ამას არ გავაკეთებთ.

***— ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალყურს ამ პროცესს და ერთ-ერთი მოთხოვნა კანდიდატის მიმართ იქნება მისი მორალური პრინციპებისადმი დამოკიდებულება და ზნეობრიობა. წინა ხელისუფლების პირობებში საზოგადოებამ კარგად დაინახა, რა მორალსა და ზნეობაზე იყო დამყარებული იმ ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი. ობამაც კი გაკიცხეს ამას წინათ, როცა მან ერთ ქალბატონს თვალი გააყოლა და მეუღლისადმი მეტი ყურადღების გამოხატვა მოსთხოვეს. თქვენი პირადი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?***

— მთავარია, დროულად შეიცვალოს კონსტიტუცია და გადავიდეთ მართვის საპარლამენტო მოდელზე. ეს ავტორიტარიზმისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა. ასეთ ქვეყნებში პრეზიდენტს ძირითადად წარმომადგენლობითი და უზენაესი არბიტრის ფუნქციები აქვს და ძალაუფლების უზურპაციას ვერ ახერხებს. რომელ ჩვენგანს ახსოვს იტალიის, გერმანიისა და სხვა ასეთი ქვეყნების მოქმედი პრეზიდენტების გვარები? მე მომხრე ვარ, რომ პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდეს, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკების აბსოლუტურ უმრავლესობაში ხდება. დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ ხალხი ხშირად ხმას აძლევს იმ კანდიდატს, რომელიც ახერხებს იმას, რომ უფრო სიმპათიურად გამოიყურებოდეს ტელეეკრანზე; რომელიც მასისათვის მისაღებ დემაგოგიას კადრულობს და ა.შ. ქართველ ერსა და სახელმწიფოს უდიდესი ზარალი მიადგა იმის გამო, რომ უზარმაზარი უფლებების მქონე პრეზიდენტს ხალხი ირჩევდა. ეს რთული საკითხია და მოკლე ინტერვიუში ამაზე მსჯელობას ნაკლებად აქვს აზრი. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმანად აღიარებულ აშშ-ში პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნებით არ ირჩევენ.

***— გარედან მეთვალყურის პირობებში ვართ ჩვენ ჟურნალისტები და თქვენ — პოლიტიკური ანალიტიკოსები. როგორ ფიქრობთ, ასრულებს თუ არა „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო დაპირებებს და სად ხედავთ ხარვეზებს?***

— პოლიტიკასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში 20-წლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ მე ბევრი კავშირი და ინფორმაციის სანდო წყარო გამიჩნდა. ამიტომ ჩემს თავს გარედან მეთვალყურეს ვერ ვუწოდებ. ბიძინა ივანიშვილი უდიდესი ქველმოქმედია საქართველოს ისტორიაში. 2011 წლის ოქტომბრის შემდეგ ის მოვიდა პოლიტიკაში ერის გადარჩენის მიზნით და საკუთარი რესურსებისა (უპირველესად ყოვლისა, მორალური რესურსის) და გმირობის ფასად მოაცილა საქართველოს სააკაშვილის სადისტური სისტემა. ამავდროულად, მის გარემოცვაში არის არაერთი ადამიანი, რომელთა მიმართ ჩვენს საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეს ილუზიები მათი პოლიტიკური წარსულის გამო. ასეთი ვითარება გარდაუვალი იყო, ვინაიდან ივანიშვილს უწევდა იმ ადამიანურ რესურსთან მუშაობა, რომელიც გარშემო არსებობდა. ვითარება საკმაოდ რთულია. ერთი მხრივ, სააკაშვილის ხაზინის ქურდების რეჟიმმა უმძიმესი სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა დატოვა და ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს სწრაფად გამოასწოროს. მეორე მხრივ, თვით კოალიციაში აშკარად არსებობს კომუნიკაციის, კოორდინაციისა და ეფექტიანობის პრობლემა. დღე არ გადის ისე, არ გავიგო, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იზრდება უკმაყოფილება ახალი ხელისუფლებით იმ ადამიანთა შორის, ვინც ხმა მისცა ივანიშვილს და მისი ხათრით კოალიციას და ვისთვისაც მიუღებელია სააკაშვილი და მისი თანამზრახველები. დღეს ბევრი ადამიანი კერძო საუბრებში აცხადებს, რომ ერთადერთი, რაც ჯერჯერობით მათთვის შეიცვალა, არის ის, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილებზე არიან უვიცები და საერთოდ არ იციან მუშაობა. ნაწილობრივად ასეთი განწყობა ჭარბი მოლოდინით არის განპირობებული, მაგრამ არსებობს ობიექტური მიზეზებიც. ამას ემატება ხალხის გაწბილება იმის გამო, რომ ტარიფები, ბენზინის ფასი და ა.შ. იმდენად არ შემცირდა, როგორც ჰპირდებოდნენ. სხვა ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება. იმედი ვიქონიოთ, რომ ივანიშვილი კოალიციის ჯანსაღ ნაწილთან ერთად შეძლებს ყველა შიდა პრობლემის დროულ გადაჭრას. ამ საქმეში მას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მასმედიის აქტიურმა წარმომადგენლებმა ანუ ჩვენ ყველამ ერთად.

# აგვისტოს ომის გამოძიებას გიორგი თევზაძეც ითხოვს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სუფლების სურვილი. თავისუფლებისთვის დაგვსაჯეს ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობდა და ისევ დაიპყრო რუსეთმა საქართველო.

მაშინ ჩვენ ამ თავისუფლებისთვის წაგვართვეს საინგილო, ლორეს ოლქი და სხვა ტერიტორიები, მით უმეტეს, რომ კომუნისტური საქართველო რუსეთის ერთგული იყო, ჩვენ ეს ტერიტორიები არ დაგვიბრუნეს. სასჯელი ბოლომდე მოგვახდევინეს და ბოლომდე წაგვართვეს.

დღესაც ასე მოხდება. ჩვენ გვსჯიან ისევ იმისათვის, რომ ისევ გამოვთქვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილი. ამიტომ წაგვართვეს აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი (სამაჩაბლო), მით უმეტეს, რომ შეიძლება დღევანდელი საქართველო დამოუკიდებელ თანამეგობრობაში შევიდეს, მოსკოვს მუდმივი ერთგულება გამოუცხადოს, ამ ტერიტორიებს რუსეთი ჩვენ არ დაგვიბრუნებს. ამ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს იმის გამო, რომ ჩვენ დასჯილი ვართ.

ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენს თავში იმ ვაჟკაცობის აღზრდა, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ ჩვენ შეგვიძლია, მტერთან დავიცვათ თავი და ძლიერი მტერიც იძულებული გახდეს, ანგარიში გაგვიწიოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იოლი საქმე არ არის. ამას ვერ გააკეთებ თუ დღედაღამ იმაზე ოცნებობ, როგორ იცხოვრო კეთილად, დღედაღამ ფუფუნებაში, არაფერი დაიკლო და ვილაცამ ლანგარზე მოგართვას აფხაზეთიც და ცხინვალის ოლქიც. თუ ასე მივუდგებით, რა თქმა უნდა, არაფერი გამოგვივა, მაგრამ, თუ ჩვენ მოვემზადებით, რომ ყველა გასაჭირს გავუძლებთ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, მაშინ ჩვენ ამას შევძლებთ და, მიუხედავად რუსეთის სიძლიერისა, ის აქედან კუდამოძუებული წავა, მაგრამ, თუ ჩვენ კუდი ვაქიცინეთ და სულ თვალებში შევაჩერდით მოსკოვს, სულ ის ვიძახეთ, რომ, მოსკოვის გარდა, არაფერი გვეშველება, მოსკოვია ჩვენი ერთადერთი მშველელი და ერთადერთი მფარველი, ერთადერთი მამა-მარჩენალი, მაშინ, რა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოვა. მაშინ უნდა ვაღიაროთ ჩვენი დამარცხება, ისევ ვიკისროთ ის მონობის უღელი, შევეხვეწოთ, რომ იქნებ ხანდახან მოგვცეს უფლება იმისა, სოხუმშიც ჩავიდეს ქართველი კაცი. ასე თუ დადგა საკითხი, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ, თუ ჩვენ ჩვენს თავმოყვარეობას არ ვულალატებთ, სიმტკიცესა და ვაჟკაცობას მოვიკრებთ, მაშინ შეგვიძლია ამ დიდი ომის მოგება და მართლაც გამარჯვებული გამოვალთ ამ ვითარებიდან, რომელშიც ჩვენ ვართ.

## ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი სამი მოქალაქე დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი სამი მოქალაქე დააკავა. როგორც „პირველს“ შს სამინისტროდან აცნობეს, დაკავებული არიან, ანატოლი კრახმალი, მიროლიმ ფაიზიევი და ერიკ ფარაჯევი. ცნობისთვის, სამივე დაკავებული მოთავსებულია საქართველოს დროებითი დაკავების იზოლატორებში და მათ მიმართ წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

პირველი

## სამართალდამცველებმა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მამაკაცი დააკავეს

სამართალდამცველებმა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მამაკაცი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია 1968 წელს დაბადებული ზვიად ნ. დაკავებულის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „ტტ“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, „პარაბელუმ“-ის ტიპის პისტოლეტი და 15 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 3 წლამდე აღკვეთას გულისხმობს.

პირველი

# ივანიშვილმა პრეზიდენტი მიწაზე დადო

## რატომ მიდის ივანიშვილი თავისთვის პოლიტიკურად წამგებიან ნაბიჯზე?

შორენა კოწოწაშვილი

**თემურ შაშიაშვილი ივანიშვილის მხრიდან აგვისტოს ომის გამოძიების დაწყებას ვაჟკაცურ ნაბიჯად აფასებს და გამოიცხავს, რომ ამაში პრემიერი პრეზიდენტის პოლიტიკურად განადგურებას ისახავდეს მიზნად.**

„თეთრების“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ ომის გამოძიება საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში უფრო უკეთესად წარმოაჩენს, ქვეყნის შიგნით კი ქართველები დაინახავენ, რაოდენ საშიში და ანტისახელმწიფოებრივი ძალის მმართველობის ქვეშ იყო ქვეყანა 9 წლის მანძილზე.

რაზე გათვალა ბიძინა ივანიშვილმა და რატომ წავიდა მისთვის პოლიტიკურად წამგებიან ნაბიჯზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.

***– ბატონო თემურ, როგორ შეაფასებდით აგვისტოს ომის ხელახლა გამოძიების ინიციატივას, რამდენად ობიექტურია პრეზიდენტი და მისი გუნდი, რომელიც ამ ინიციატივიდან გამომდინარე აცხადებს, რომ ივანიშვილი საქართველოს კომუნიზმისკენ მიაქანებს.***

– ეს ისეთი აბსურდია და საერთოდ კიდევ ერთხელ ვადასტურებ: რეალურად, მე მგონი, ურწმუნო თომასაც კი აღარ აქვს ეჭვი, რომ სააკაშვილი დასაბმელია. მისი ყოველი გამოსვლა უფრო მეტია, ვიდრე მტრობა ერთი ქვეყნის, ერთი ხალხის. ეს არის უკვე გაბოროტებული კაცი. ომის საკითხის დაყენებამ ის მდგომარეობიდან გამოიყვანა. წესიერი და პატიოსანი რომ იყოს ამ საქმეში, ომის გამოძიება მას უნდა აწყობდეს. სააკაშვილს უნდა აწყობდეს ახლა, თუ რაიმე კარგი აქვს ნაკეთები, უნდა აწყობდეს ამ საკითხის საფუძვლიანად შესწავლა, რაც შეიძლება საზოგადოების ფართო მონაწილეობით, რომ ის ბევრი ეჭვი, რომლებიც ომთან დაკავშირებით არსებობს, გააქარწყლოს. აქ არის საუბარი, თითქოს ყველაფერი გამორკვეულია. რა, უცხოელები იმას გამოარკვევდნენ, ქართული ჯარის მართვა როგორ მიდიოდა? ვინ ეკითხება ამას უცხოელს. რაზეც ესენი დავობენ, თქვენ ომის დაწყებას გვაბრალებთო, ტალიავინის კომისიაში წერია, რომ ფართომასშტაბიანი ომი სააკაშვილმა დაიწყო. ამაზე არ გამოუთქვამს სააკაშვილს არაფერი. მაგრამ ის არის ჩვეულებრივი მონა, რომელიც თავის ხალხს ექცევა, როგორც დიქტატორი, ხოლო უცხოელებს ფეხქვეშ ეგება. დღეს სწორედ ამ უცხოელებისადმი მონობით უნდა, თავი ისევ გადაირჩინოს. ხმა არ ამოუღია მას, რომ ტალიავინის კომისიაში დაიწერა ასეთი მძიმე რამ. მაშინ შეწუხებული ვამბობდი, რას ითმენს სააკაშვილი, ასეთი რამ დაიწერა მასზე-მეთქი. მე არ ვიცოდი, 9-ში თუ ასეთი ოფიციალური დოკუმენტი იყო შექმნილი, ეს არის ქვეყნის მტრობა, სადაც პირდაპირ უწერია, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილების შემოსვლა დაიწყო 8 აგვისტოს. ეს მაშინ, როცა საქართველოში ყველამ ვიცოდით, რომ რუსები უკვე შემოსული იყვნენ. მე ვამბობ ერთ რამეს: ეს გამოკვლევა დაადასტურებს, რომ სააკაშვილი დაეხმარა რუსეთის ხელისუფლებას თავისი მზაკვრული მიზნების განხორციელებაში.

***– ანუ დროული და აუცილებელია აგვისტოს ომის გამოძიება?***

– არათუ დროული და აუცილებელია, დაგვიანებულიც კია. სააკაშვილი მდგომარეობიდან გამოვიდა, როგორც კი ომის გამოძიებაზე დაიწყო საუბარი. ხმამაღლა ვამბობ, სამართლიანობის პრინციპი ამ ომთან დაკავშირებით საქართველოსთვის არის უმნიშვნელოვანესი. გერმანიამ რით მოიგო?! გერმანია, რომელიც ფაშიზმს დაუპირისპირდა, მთელი მსოფლიო გვერდით დაიყენა იმიტომ, რომ თვითონ ებრძოდა ფაშიზმს, თვითონ დაგმო ჰიტლერი. თვითონ შეუწყო ხელი ნიურნბერგის პროცესს. რასაც ახლა სააკაშვილი და მისი დამქაშები ყვირიან, ამას ყვიროდნენ მაშინ, თუმცა გერმანიის ინტელექტუალური ნაწილი დაეთანხმა, ფაშიზმთან დაკავშირებით ყველაფერი შესწავლილი ყოფილიყო. ისინი მაშინ ამბობდნენ, თქვენ ებრძვით გერმანიას, თქვენ ანადგურებთ გერმანიას. მაგრამ გერმანიამ სწორი მიდგომით შეძლო ის, რომ დაიბრუნა ჰეგემონობა მსოფლიოში. გერმანიას, მის ინტელექტუალურ პოლიტიკურ წრეებს იგივე პოზიცია რომ დაეჭირათ, როგორიც დღეს სააკაშვილსა და მის გუნდს უჭირავს, გერმანია, პრაქტიკულად, აღარ იარსებებდა. ვიმეორებ: ისტორიის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ქვეყანა, რომელიც თვითონვე იცილებს მუწუკს, გმობს არასწორ პოლიტიკას, მსოფლიოსთვის ძლიერი და კარგი ხდება. ძალიან ბევრმა ქვეყანამ ეს ვერ შეძლო. გარწმუნებთ, საქართველოსთან დაკავშირებით ირანს, თურქეთს თავის დროზე ან დღესაც ბოდიში რომ მოეხადა და არა მხოლოდ საქართველოსთვის, დღეს ისეთივე ძლიერი და შეიძლება, გაცილებით ძლიერიც ყოფილიყო, ვიდრე გერმანია, იმიტომ რომ თურქეთი დიდი ტრადიციების ქვეყანა იყო და დაღუპეს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა შეუძლებელი შეძლო, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ეს ისტორიული პარალელი გავიხსენე არა გერმანიის საქებრად, არამედ იმისათვის, რომ მე, როგორც ქართველმა, მინდა ვიცოდე არა ტალიავინის დასკვნა, არამედ ის, თუ როგორ მიდიოდა ქართული ჯარის მართვა; რატომ დაეთანხმა და 2004 წელს არ გააუქმა რუსეთის მონაწილეობა სამშვიდობო მისიაში. ხელის მოწერის გაუქმება უნდოდა ხომ, მეტი არაფერი. საქართველოს ხელისუფლება გახდა ხელის შემწყობი საქართველოს ოკუპაციისა და დაპყრობის. დღეს ამას ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ დაწერს და ამ მიმართულებით გამოძიებას არ აწარმოებს. მე ძალიან მინდა, ამ ომთან დაკავშირებით ყველაფერი იქნეს შესწავლილი, მაგრამ ეს უნდა იყოს არა პროკურატურის, არამედ საერთაშორისო დონეზე. თქვენ ნახეთ, 9 აპრილის შემდგომ დიდი საზოგადოებრივი კომისია რომ არ შექმნილიყო და ხალხს რომ არ ეიძულებინა კრემლი, დათანხმებოდა საზოგადოებრივი კომისიის შექმნას როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში და რომ არ ყოფილიყო ერთი და მეორე საზოგადოებრივი კომისია, ჩვენ ვიქნებოდით კატასტროფულ მდგომარეობაში. დღესაც იმავეს ვითხოვ: საზოგადოების ფართო მონაწილეობით, ძალიან ბევრი მხარდამჭერი, რომელიც ნაცმოძრაობას ჰყავს მეცნიერებასა თუ სხვა სფეროში, ისინიც უნდა შევიდნენ ამ კომისიაში, რათა ყველაფერი გაირკვეს ობიექტურად. ვიმეორებ, დაღუპეს ქართველი ჯარისკაცები, გაგვინადგურეს ქართველი ჯარი. მთავარსარდალი მიწაზე ფორთხავდა, მაშინ როცა ყველასთვის მაგალითი უნდა მიეცა. ამას არ მივცეთ შეფასება და არაფერი ვთქვათ?! ვინმე არის დღეს საქართველოში, რომელსაც ამაზე ენა მოუბრუნდება? ვიმეორებ, სააკაშვილი აგრესორს აგრესიული მიზნების განხორციელებაში დაეხმარა.



***– ბატონო თემურ, თქვენ კი ამბობთ, რომ დაეხმარა, მაგრამ პრეზიდენტის გუნდში ფიქრობენ, რომ ომის გამოძიებით დასავლეთის მხარდაჭერა შესუსტდება და ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება დაიწყება.***

– ეს ისეთი სისულელეა... მაპატიოს ყველამ, ვინც ამას ლაპარაკობს. ამ სისულელეზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. არ მესმის, თუ სააკაშვილი მართალია, მას ეს გამოძიება უნდა აწყობდეს. გამოძიება იმაზე ხომ არ მიდის, ომი ვინ დაიწყო. ეს ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია. პირიქით, სააკაშვილი თუ სწორად წარადგენს დოკუმენტებს, ტალიავინის კომისიის საწინააღმდეგო დასკვნა უნდა გაკეთდეს, ჩვენ დღეს ვსაუბრობთ შიდა ქართულ გამოძიებაზე – სააკაშვილი ხომ არ იყო ნაწილი რუსეთის აგრესიული ხელისუფლებისა. ჩვენ ამის შესწავლა გვინდა და ამაზე გვინდა პასუხი. პირიქით, დღეს რასაც ვაკეთებთ – ეს არის დიდი ქართული საქმე. ჩვენ თუ ამას არ გავაკეთებთ, პატივისცემა არავისგან არ გვექნება. სააკაშვილი რას ლაპარაკობს, არ მაინტერესებს. ყველა მასალა უნდა გაიხსნას; მისი ბრძანებულება უნდა გამოქვეყნდეს; ყველა მასალა უნდა ინახოს კომისიის მიერ. როცა ყველაფერი გაირკვევა, თმა ყალყზე დაგვიდგება. პრაქტიკულად, ომის დაწყების არავითარი სტრატეგია არ არსებობდა. ერთი კაცი წყვეტდა ყველაფერს. ეს არის ჯარის მომზადება?! ნეტა, ყველაფერი სწორად წარმართულიყო და საქმე ბოლომდე მიეყვანა.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართლით ვალდებულია ის, ომის საქმე გამოიძიოს. უმცირესობა კი გამოძიების დაწყებაში პოლიტიკურ ინტერესებს ხედავს.***

– ხელისუფლება სწორად ამბობს, რომ ვალდებულია, ომი გამოიძიოს. ივანიშვილმა სააკაშვილი იმდენად მიწაზე დადო პოლიტიკური გაგებით, რომ არავითარი პოლიტიკური ელემენტი არ სჭირდებოდა მას. მინდა, ივანიშვილის ეს ნაბიჯი მოვიწონო. ივანიშვილი ვაჟკაცურ ნაბიჯს დგამს, ის აკეთებს ისეთ რამეს, რომელიც მოსახლეობის გაუცნობიერებელ ნაწილში სააკაშვილის მიმართ პოზიტიურ განწყობას აყალიბებინებს. მაგრამ ეს სჭირდება საქართველოს. რასაც ივანიშვილი აკეთებს, მისთვის პოლიტიკურად წამგებიანია, მაგრამ ეს პოლიტიკურად საქართველოსთვის მომგებიანია, სააკაშვილის დამარცხების პრობლემა დღეს ივანიშვილს რომ არ აქვს. ივანიშვილის შეცდომა არის ის, რომ როცა ჩვენ ვამბობდით: სააკაშვილი არის თავზეხელაღებული კაცი, სკამზე შეყვარებული კაცი, ეს არის გაბოროტებული კაცი, მისი ნდობა არ შეიძლება, კონსტიტუცია გვაძლევს საშუალებას და დავამთავროთ 20 იანვარს სააკაშვილი – მან ეს არ გაითვალისწინა. მე ივანიშვილს ბრალს ამაში ვდებ, რომ 20 იანვარს მას ხელში ეჭირა პოლიტიკური დოკუმენტი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. მაშინ მთელი მსოფლიო გვერდით დაუდგებოდა. ვინც იჯერებს, რომ დღეს ივანიშვილს სააკაშვილის პოლიტიკურად დამარცხება სჭირდება, იმას რა უნდა ელაპარაკო?! ამ ერთმა კაცმა, ბიძინა ივანიშვილმა, სააკაშვილი და მთელი ნაცმოძრაობა აჩვენა, როგორც არარაობა. მან პრეზიდენტი დადო მიწაზე და მთელ საქართველოს აჩვენა, ვინ მართავდა მთელი 9 წლის მანძილზე ქვეყანას – როგორი გაბოროტებული და არაქართული ძალა. ომის გამოძიება სჭირდება საქართველოს და არა ივანიშვილს, სჭირდება იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოს დასანახად თქვას: ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც მომავალში აღარ ვაპატიებთ არავის ჯარის ისე მართვას, როგორც მართავდა სააკაშვილი, ომის ისე მომზადებას, დაწყებას, როგორც დაიწყო სააკაშვილმა და ისე დამონებას ქართველი ხალხის, როგორც გააკეთა სააკაშვილმა. ივანიშვილმა უნდა თქვას: ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ არათუ მე აღარ დავუშვებ, არამედ საქართველოს ისტორიაში მომავალშიც აღარ უნდა მოხდეს ასეთი რამ. საქართველოს ომის გამოძიება აამაღლებს და მსოფლიოს თვალში სულ სხვანაირად წარმოაჩენს, თუმცა, დამერწმუნეთ, დასავლეთში ამ ომის გამოძიება ბევრს არ აწყობს.

***– ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ამ ომის გამოძიებით ქვეყნის იმიჯი შეირყევა დასავლეთში, თუკი საქართველოს მთავრობა დადანაშაულდება ომის დაწყებაში.***

– გამორიცხულია. ამას მხოლოდ ის ადამიანი იტყვის, რომელმაც ხელი შეუწყო ამ ომის ინსპირირებას და სააკაშვილის გვერდით იდგა. მაჩვენეთ ერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, რომ ამ ომის გამოძიება საქართველოსთვის იქნება ცუდი. აფხაზებსა და ოსებს ჩვენ შემოვირიგებთ იმით, როცა ვაჩვენებთ, რომ სამართლიანი ხალხი ვართ და პასუხის ვთხოვთ ჩვენს ხელისუფლებას იმაზე, რომ მან საკუთარი ქვეყნის ტერიტორია დაბომბა. გესმით, რა გააკეთა სააკაშვილმა?! მე ამისთვის ვთხოვ მას პასუხს. ცხინვალი ხომ მაშინ იურიდიულად საქართველოს ტერიტორია იყო.

***– დაბოლოს, ბატონო თემურ, მოუწევს თუ არა მართლაც სააკაშვილს გამოძიებასთან თანამშრომლობა? ამაში პრემიერსა და ლევან ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარებათ.***

– ამაში ეჭვი არც მე მეპარება. დღეს, უბრალოდ, ნაციონალებს ასეთი პროპაგანდა სჭირდებათ. კაგებეს მიერ შექმნილი სააკაშვილი. ოხ, მე პუტინს რა ვუთხრა, უსირცხვილოდ ექცევა პუტინი საქართველოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველა მასალა იქ უდევთ, რომ სააკაშვილი კაგებეთი დაიწყო. სააკაშვილიც, როგორც ყველა „კაგებეშნიკი“, დღეს „ანტიკაგებეშნიკობას“ თამაშობს. რუსეთში ძალიან კარგად იციან, ვინ არის სააკაშვილი, მაგრამ რუსეთი თავის საქმეს აკეთებს. რუსეთმა იმაზე მეტი მიიღო სააკაშვილისგან, ვიდრე იოცნებებდა. ის პროპაგანდა, რომელსაც დღეს ნაციონალები ატარებენ, სჭირდებათ იმისთვის, რომ 19 აპრილის მიტინგს იქნებ ერთი-ორი კაცი მიამატონ. ხმამაღლა ვამბობ: ვაჟკაცური ნაბიჯია ივანიშვილისგან თუნდაც ის, რომ 19 აპრილის მიტინგის წინ სააკაშვილს მისცა საშუალება, ეს ტრიბუნა ხელში ეჭიროს, მაგრამ ივანიშვილმა რა გააკეთა: ჭკვიან ხალხს კიდევ ერთხელ აჩვენებს, ვინ მართავდა საქართველოს 9 წლის განმავლობაში, ხოლო დაბნეულ ადამიანებს კიდევ ერთხელ აყენებს სააკაშვილის გვერდით. დარწმუნებული ვარ, ეს ხალხიც ძალიან მალე გაახელს თვალს.

### „საერთო სასამართლოების შესახებ კანონი ვენეციის რეკომენდაციებს არ ეწინააღმდეგება“

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლის, თომას ჰამერბერგის განცხადებით, საერთო სასამართლოების შესახებ კანონი ვენეციის რეკომენდაციებს არ ეწინააღმდეგება. როგორც გუშინ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე თომას ჰამერბერგმა განაცხადა, ამ კანონში საგრძნობლად გაუმჯობესებულია ის, თუ შევადარებთ იმას, რაც აქამდე იყო.

„მოსამართლეების არჩევის პროცესი ახლა ბევრად უფრო დემოკრატიულია. კერძოდ, უკეთესია, როდესაც იუსტიციის საბჭოს 9 წევრს მოსამართლეების კონფერენცია ირჩევს. ამით მათ უფრო მეტი ძალაუფლება მიენიჭათ. რაც შეეხება არამოსამართლეებს, რომლებიც იუსტიციის საბჭოში შედიან, მათი არჩევის წესიც გაუმჯობესდა და მათ პარლამენტი ირჩევს. გარდა ამისა, კარგია, რომ ისინი პოლიტიკოსები არ იქნებიან“, – აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

მისი თქმით, ეს კანონი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს არ ეწინააღმდეგება, რადგან ვენეციის კომისიამ საქართველოს რამდენიმე ალტერნატივა წარუდგინა.

„ვენეციის კომისიამ არ განიხილა თავისი რეკომენდაცია, როგორც ერთადერთი შესაძლებლობა და მან საქართველოს რამდენიმე ალტერნატივა წარუდგინა“, – აღნიშნა ჰამერბერგმა. გარდა ამისა, ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ ყველა ახალი არჩევნების შემდეგ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა არ უნდა იცვლებოდეს.

მედიანიუსი

### აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი საკურორტო სეზონისთვის ემზადება

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგანგებო სიტუაციების სამმართველო საკურორტო სეზონისათვის მზად არის. ამის შესახებ დე-ფაქტო რეჟიმის საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი“ იუწყება. წყაროს ცნობით, ეს საკითხი პრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმა საგანგებო სიტუაციათა სამმართველოს უფროს ლევ კვიცინიასთან ერთად განიხილა. ამ უკანასკნელმა „პრეზიდენტს“ აუწყა, რომ აფხაზეთში ცეცხლმაქრებთან, ჰიდრანტებსა და სხვა ტექნიკასთან ერთად, რუსეთიდან 10 ერთეული სახანძრო მანქანა და 3 კატერი შევიდა.

ანქვაბმა აღნიშნა, რომ ახალ ათონში ახალი ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილის მოწყობა აუცილებელია. მან საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსს ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირის დამყარება დაავალა. მათ ასევე იმსჯელეს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდა სპეციალისტების სწავლების საჭიროებაზე.

მედიანიუსი

### კუკავას პარტიამ „სოკარის“ სარეკლამო ბანერზე ქართულენოვანი წარწერები გააკეთა

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერებმა ნავთობგადამამუშავებელი კომპანია „სოკარის“ სარეკლამო ბანერზე ქართული წარწერები გააკეთეს. მათ ეს აქცია 14 აპრილს –– დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩაატარეს. მასში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერები კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე მონაწილეობდნენ. როგორც პარტიაში აცხადებენ, კანონი კომპანიებს ავალდებულებს, უცხოენოვან წარწერებთან ერთად, რეკლამა ქართულ ენაზეც განათავსონ, თუმცა მათი უმრავლესობა ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს უგულებელყოფს.

„თავისუფალმა საქართველომ“ არაერთხელ, როგორც საჯაროდ, ასევე პირადად, მიმართა საქართველოში მოქმედ უცხოურ კომპანიებს და მათგან ქართული ენის და კანონმდებლობის პატივისცემა მოითხოვა, თუმცა ამას კომპანიების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ასევე უპასუხოდ დარჩა პარტიის მიმართვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის, რომ უზრუნველეყოთ კანონის აღსრულება და კერძო კომპანიების სარეკლამო ბანერებზე ქართულენოვანი წარწერების განთავსება. ყოველივე ამის შემდეგ, პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ფორმით შეეხსენებინა უცხოური კომპანიებისთვის ქართული ენის პატივისცემის აუცილებლობა“, –– ნათქვამია „თავისუფალი საქართველოს“ განცხადებაში.

პარტიის წევრები იმედოვნებენ, რომ ამ ღონისძიების შემდეგ საქართველოში ბიზნესის საკეთებლად და ფინანსური მოგების სანახავად შემოსული უცხოელები სათანადოდ სცემენ პატივს ქართველ ერს, ქართულ ენასა და კანონმდებლობას. ამასთან, ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, იზრუნოს კანონის აღსრულებაზე და დაავალდებულოს კერძო კომპანიები, რათა მათ რეკლამებზე ქართულენოვანი წარწერები განათავსონ.

მედიანიუსი

# არჩილ ფრანგიშვილი: „უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომს“ როგორც საკუთარი, ისე ყველა სტუდენტისა და მთელი ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით“

**დასაწყისისთვის აღვნიშნავთ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტსა და კომპანია მაგთიკომს შორის თანამშრომლობა დიდი ხანია არსებობს და წარმატებული კომპანია არაერთჯერ დახმარებია სასწავლებელს. ამჟამინდელი პროექტის ფარგლებში, რომელიც 2012 წლის შემოდგომაზე დაიწყო, დაწესდა მაგთიკომის სტიპენდიები ორი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის წარჩინებული 12 (6+6) სტუდენტისთვის. საუკეთესო სტუდენტებს მაღალი მოსწრების მიხედვით რექტორატი არჩევს, მაგთიკომი კი მათ ყოველთვიურად 300-ლარიანი სტიპენდიით უზრუნველყოფს. შედეგების გადაიხედება ყოველი სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, სტუდენტებს კარგი სწავლისთვის სტიმული და მოტივაცია არ მოაკლდებათ. დასაწყისისთვის პროექტი ერწლიანი ვადით განისაზღვრა, თუმცა მაგთიკომში მის გახანგრძლივებას არ გამორიცხავენ.**



დღეს უკვე ცხადია, რომ „მაგთიკომის“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მიმდინარე პროექტი – რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტების წახალისებას ითვალისწინებს წარმატებული და შედეგიანია. მისასალმებელია, რომ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში სტუდენტებმა კიდევ უფრო მოუმატეს სწავლას და მეორე ეტაპზე კიდევ უფრო მაღალი ქულები დააგროვეს.

„პროექტი – „მაგთიკომის“ სტიპენდია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისთვის 2012 წელს დაიწყო. ეს პროექტი ემსახურება ახალგაზრდების წახალისება, მათ სტიმულირებას, რათა უფრო კარგად ისწავლონ. გარდა ამისა, სტიპენდიანტებს საშუალება ეძლევათ, განსაკუთრებული ტესტირებისა და შერჩევის შედეგად, მუშაობა „მაგთიკომში“ დაიწყონ“, – ამბობს **„მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი.**





11 აპრილს, 12 სტიპენდიანტისთვის მაგთიკომმა სათაო ოფისში ერთდღიანი სემინარი მოაწყო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მათი პროფილის კომპანიაში მთელი დღის გატარება განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. აქ სხვა თანამშრომლებთან ერთად, თავად „მაგთიკომის“ პრეზიდენტმა ითავა სტუდენტების მასპინძლობა – სათაო ოფისის ყველა მნიშვნელოვანი განყოფილება დაათვალიერებინა და მუშაობის პრინციპი გააცნო.

**არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი:** მიხარია, რომ ასეთი პროექტი ხორციელდება. ჩვენთვის განსაკუთრებულად არსებითია „მაგთიკომთან“ თანამშრომლობა. რასაკვირველია, აქ მარტო ეკონომიური მხარე არ უნდა ვიგულისხმოთ. ასეთი კომპანია, მთელი თავისი განვითარების ისტორიით, საუკეთესო მაგალითია წარმატებული ბიზნესის კეთებისთვის. ამასთანავე, ამ სტუდენტებისთვის ეს არის პროფესიული დონის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შანსი. უფრო მეტიც, სასურველი და აუცილებელიც კია ამ პროფილის სტუდენტებისთვის ასეთი კავშირები, რადგან კავშირგაბმულობის სფეროში თვით საბაზისო ცოდნაც კი სწრაფად ცვალებადია და ამ ცვლილებათა დევნას ვერცერთი სასწავლო დაწესებულება ვერ მიჰყვება თუ არა ბიზნესის დახმარება. მიხარია ის, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტსა და „მაგთიკომს“ შორის ასეთი ურთიერთობა არსებობს. სტიპენდია, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი და კარგია, მაგრამ ბევრად მნიშვნელოვანია თვითონ სახელი – რომ ხარ „მაგთიკომის“ სტიპენდიანტი. ყველა სტუდენტს მინდა მივულოცო ეს წარმატება. მსურს, რომ სტიპენდიის მიღების შემდეგ უფრო სერიოზულად იმუშაონ. მინდა გამოიყენონ შანსი – ამ გარემოში გაიარონ პრაქტიკა და შეისწავლონ შესაბამისი ტექნოლოგია. დიდი მადლობა „მაგთიკომს“, რომელიც ასეთ კეთილგანწყობას იჩენს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ“.

**ნინო სურგულაძე, კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორი:** „მაგთიკომი“ ხელს უწყობს საუკეთესო სტუდენტების წახალისებას. კომპანიისთვის „მაგთიკომის სტიპენდია“ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ის კარგი სტიმულის მიმცემია სტუდენტებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმება წლებია გრძელდება. დღეს სტუდენტებს „მაგთიკომის“ ოფისის დათვალიერების საშუალებაც ეძლევათ. ვფიქრობ, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო ტექნოლოგიურ დეპარტამენტის გაცნობა უნდა იყოს. მათ თავად „მაგთიკომის“ პრეზიდენტი, ბატონი დევიდ ლი გაუწევს მეგზურობას.“

„ვფიქრობ პროექტი – „მაგთიკომის სტიპენდია“ ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა. მიხარია, რომ ეს პროექტი გრძელდება. „მაგთიკომი“ არის ლიდერი კომპანია კავშირგაბმულობის სფეროში და ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“, – აღნიშნა **დევიდ ლი**-მ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის ოთარ ზუმბურიძის** განცხადებით, „მაგთიკომის“ კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია და მას სხვა კომპანიებმაც უნდა მიბაძონ:

„განათლება სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე არ არსებობს. ამიტომ, „მაგთიკომის“ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. მსოფლიოში რეიტინგით პირველი უნივერსიტეტის „ჰარვარდის“ აქტივები 25 მილიარდია, ცხადია 25 მილიარდი სახელმწიფო დაფინანსებიდან ვერ შეიქმნებოდა, ეს არის კურსდამთავრებულებისა და ბიზნესის შეწირულობა. მე შორის ვარ იმ აზრისგან, რომ დღევანდელ ბიზნესს რამე დავავალდებულოთ, მაგრამ ასეთი საქმეების კეთებისთვის „მაგთიკომი“ კარგი მაგალითია. სტიპენდიის მიმღებებს მიბაძავენ სხვა სტუდენტებიც, რათა კარგად ისწავლონ და ამ პროექტში ისინიც მოხვდნენ. ამ კომპანიამ ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მე მქონდა ბევრი ქვეყნის მონახულების საშუალება, მობილური კომპანიის უმრავლესობა არ ხარჯავს დიდი თანხას იმისთვის, რომ სიგნალით მთელი ტერტიტორია დაფაროს, დიდი ნაწილი ყოველთვის აუვისებელი რჩებოდა. პირველმა, „მაგთიკომა“ მოახერხა ის, რომ არამარტო დასახლებული ტერიტორია, არამედ მთლიანად საქართველოს ტერიტორიის 98% მოიცვა“, – აღნიშნა ოთარ ზუმბურიძემ.

სტიპენდიით, მაგთიკომში გატარებული დღით და მომავალში შესაძლო თამნამშრომლობით კმაყოფილი არიან სტუდენტებიც. მათმა უმრავლესობამ უკვე მეორედ დაიმსახურა ფინანსური ჯილდო. ნდა ითქვას, რომ მეორე სემესტრში სტიპენდიანტის მინიმალურმა ქუალმ მოიმატა. რამოდენიმე მოტივირებულმა სტუდენტმა შეძლო და წინამორბედებზე უკეთესი შედეგი აჩვენა.

მესამე კურსელი **ნიკა ადეიშვილი** პირველად გახდა მაგთის სტიპენდიანტი: „როცა ვნახე, რომ სტუდენტები ასე წაახალისეს, მეტი ინტერესი გამიჩნდა. ახლა ვეცდები შევინარჩუნო მოპოვებული, მინდა მაგთიკომში ვიმუშაო, ის ხომ ლიდერი კომპანიაა. ახალი სერვისების გაცნობისა და დანერგვის მხრივაც ძალიან საინტერესოა აქ მუშაობა.“

„მიხარია, რომ შრომა ფასდება. ეს სტიპენდია ძალიან დიდი სტიმულია. ჩემს ოჯახში სწავლა ფასობს. ნაწილობრივი დაფინანსება მქონდა, ახლა კი ოჯახს აღარ დავაწვები ტვირთად. ვაპირებ, თანხაც მოვაგროვო მაგისტრატურაში ჩასაბარებლად. რათქმაუნდა, ვიზრუნებ, შემდგომშიც მოვხვდე სტიპენდიანტთა შორის,“ – ამბობს მესამეკურსელი **ლაშა იოსებიძე.**

**ნანა დანელიას** ჩაბარებისას არ გაუმართლა, როგორც თავად ამბობს, ზომაზე მეტად ინერვიულა, დაბალი ქულები მოაგროვა და დაფინანსება ვერ მიიღო. მაგიერში ახლა ყოჩაღობს: „შემოდგომაზე ჩემი მეგობრები გახდნენ მაგთის სტიპენდიანტები. გაჩნდა სტიმული. საერთოდ რა საქმესაც ხელს მოვკიდებ, ბოლომდე მიმყავს. მოვინდომე და მოვიპოვე. ამ თანხით სწავლის გადასახადს დავფარავ. ვეცდები სწავლაშიც და საქმეშიც მაქსიმუმი გავაკეთო.“

**სანდრო მაისურაძე** მეორედ გახდა მაგთიკომის სტიპენდიანტი. მიაჩნია, რომ ეს ჯილდო დიდი და ტკბილი სტიმულია სწავლისთვის. წინა სტიპენდიიდან უკვე შეიძინა ლეპტოპი. ახლა აპირებს თანხა ზაფხულისთვის შემოინახოს: „კიდევ უფრო მონდომებული ვსწავლობ. ეს ყველაფერი გარკვეულწილად არის შეჯიბრი, რაც ძალიან კარგია. ადრე თუ რაიმეს შესაფერის ყურადღებას არ ვუთმობდი, ახლა ვცდილობ არცერთი ნიუანსიც არ გამოვტოვო, ყველა საგანში 100-ქულიანი შეფასება დავიმსახურო და, შესაბამისად, ცოდნაც უფრო სრულყოფილია. დღეს დავათვალიერეთ კომპანიის ოფისი. რასაკვირველია, ერთდღიანი გაცნობა ზედაპირულია, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, – აქ საკმაოდ შთამბეჭდავი ბაზაა იმისთვის, რომ კომპანიის შესაძლებლობები გათვალო. „მაგთი“, ალბათ, კიდევ ბევრი სასიკეთო სიახლით გაახარებს თავის მომხმარებელს. დიდი სურვილი მაქვს დავსაქმდე მაგთიკომში.“







კომპანიაში ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის ათობით კურსდამთავრებული მუშაობს. კადრების შერჩევას ახალკურსდამთავრებულთა შორისაც უწყვეტად მიმდინარეობს. ეს მაგთიკომსა და უნივერსიტეტს კიდევ უფრო აახლოვებს.

**ანა ვაჩნაძე**

# დედაენა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კენ. საპროტესტო აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ სხვადასხვა შინაარსის ლოზუნგები, მათ შორის იყო „ვი, ია". ანალოგიური პროცესები ბათუმშიც განვითარდა. იქ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა დამტკიცებინათ, საიდანაც ასევე ამოღებული იყო მუხლი ქართული ენის შესახებ. ხელისუფლებისთვის ვითარება უმართავი ხდებოდა. შექმნილი ვითარებიდან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისათვის ორი გზა რჩებოდა: სისხლისღვრა ან დათმობა. ოფიციალური მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო. განვითარებული მოვლენების გამო 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას პირველი ბიძგი სწორედ 1978 წლის 14 აპრილმა მისცა.

ამ თარიღთან დაკავშირებით დედაენის ძეგლთან, ტრადიციულად, სხვადასხვა ღონისძიება ეწყობა. წელს დედაენის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა ბავშვებმა მიიღეს. დედაენის ბაღში მშრალ ხიდთან, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თაოსნობითა და შემოქმედებითი ჯგუფი „დეკარტის" ორგანიზებით გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ბავშვები. ისინი ახლახანს დაბრუნდნენ საქართველოში. ღონისძიებაში მონაწილეობისთვის საგანგებო სტატუსით იქნენ მიწვეული საქართველოში მცხოვრები უნარშეზღუდული ბავშვები. დედაენის დღის მონაწილე ბავშვებისთვის კონცერტი გამართეს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვებმა, თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ხალხური სიმღერები შეასრულეს ანსამბლ ,,რუსთავის" უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა გოგიტა ბუგიანიშვილის ხელმძღვანელობით.

დედაენის ბაღში გაიმართა ბავშვთა ნახატების გამოფენა, ღონისძიების დაწყებამდე ბავშვებმა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ფერადი ცარცებით მოხატეს ქვაფენილი. დედაენის დღესასწაული ბავშვებს მიულოცეს ,,მულტი-პულტის" გმირებმა. საზეიმო ღონისძიების დასასრულს ბავშვები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით: მთაწმინდის ,,ბომბორას" პარკის ბილეთებითა და ,,ბარამბინოს" ტკბილეულით.

„დედაენის" დღესთან დაკავშირებით ვოკალურ-თეატრალურმა სტუდიამ „ლურჯა ცხენები" ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში კონცერტი გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდიის აღსაზრდელები, ასევე, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები და უნარშეზღუდული ბავშვები. ღონისძიებაში ქართული ესტრადის ვარსკვლავებიც ჩაერთნენ.

„მუშთაიდის" პარკში ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ქართული ენისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება „დედაო ენავ". ღონისძიებას მისმა ორგანიზატორებმა თეატრალიზებული სახე მისცეს და მასში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდობამ წარმოაჩინა ქართული ენის დასაცავად 1978 წლის 14 აპრილს თბილისში განვითარებული მოვლენები, საპროტესტო აქციების ეპიზოდები. შესრულდა სიმღერები, ქორეოგრაფიული ნომრები და ნაწყვეტები სპექტაკლებიდან. ღონისძიება თბილისის კულტურული ღონისძიებებისა ცენტრისა და „მუშთაიდის" პარკის ადმინისტრაციის ხელშეწყობით მოეწყო.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ჩემი დედაენა". გამოფენაზე წარმოდგენილია პირველნაბეჭდი „დედაენები": აფხაზური „დედაენა" და „დედაენა" საქართველოს ოსმალო მოზარდებისთვის შექმნილი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის მიერ. აქვე გამოფენილია „დედაენის" სტამბური კლიშეები (1920 წლის გამოცემისთვის). ღონისძიება ემსახურება ქართული ანბანის სწავლების უწყვეტი ხაზის ჩვენებას, ანბანის სწავლების კულტურული ტრადიციის გაცნობასა და იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივი ღვაწლის წარმოჩენას. გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამის „ჩემი შექმნილი წიგნი"-ს ჩვენება. პროგრამა მომზადებულია იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენაში" შესული ცნობილი საბავშვო ზღაპრის ,,რწყილი და ჭიანჭველას" მიხედვით. 10-15 ბავშვიანი ჯგუფებისათვის გათვალისწინებულია ,,ვორკშოპი", რომლის ფარგლებშიც მოზარდები კომპიუტერში ინდივიდუალურად გააფერადებენ წიგნის თითოეულ გვერდს, გაანაწილებენ ტექსტს, ილუსტრაციას, შესაბამისად დაასათაურებენ თითოეულ ეპიზოდს და შექმნიან ვირტუალურ წიგნს. გამოფენის შემდეგ ბავშვები საკუთარი ხელით შექმნილ წიგნებს საჩუქრად მიიღებენ. ღონისძიება ხელნაწერთა ცენტრში 19 აპრილამდე გაგრძელდება.

საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში კი გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით ,,სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებში განხილული იქნა ქართული და აფხაზური ენების პრობლემები; კერძოდ: ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა; ქართული ენის ტექნოლოგიზებისთვის საჭირო გადაუდებელი ამოცანები; აფხაზური ენა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა და საქართველოს მოვალეობები; ნორმირებული მეტყველება და თანამედროვე მასმედიის ენა; მშობლიური ენის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხები; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; სახელმწიფო ენის დაცვა – ევროპული გამოცდილება; ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენის შესახებ და საქართველო და სხვ. კონფერენციის მიზანია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება და მასთან დაკავშირებით დღეს არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა. მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებმა თეიმურაზ გვანცელაძემ, ტარიელ ფუტკარაძემ, შუქია აფრიდონიძემ, მერაბ გვაზავამ, ალექსი ჟორდანიამ, მანანა ტაბიძემ, ეკატერინე დადიანმა, რევაზ შეროზიამ, მანანა ტაბიძემ, ლია ქაროსანიძემ, რუსუდან საღინაძემ, მანანა კვასხვაძემ, მარიკა ოძელმა, ნათელა მალლაკელიძემ და ნანა ლოლაძემ. კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას გაეგზავნება.

**დედაენის დღეს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი:**

„დღეს 14 აპრილია – ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებული დღე, დედაენის დღე. ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავდა ქართულ ენას, მაგრამ ვერავინ შეძლო მასზე გამარჯვება. დღეს 35 წელი შესრულდა 1978 წლის 14 აპრილიდან, როდესაც ქართველი ახალგაზრდობა – სტუდენტები და მოსწავლეები წინ აღუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას გაეუქმებინა საქართველოში ქართული ენა როგორც სახელმწიფო ენა. მათ, საქმით და არა სიტყვით, დაუდასტურეს ქართულ ენას გულწრფელი ერთგულება – მშობლიური ენის დასაცავად საბჭოთა რეპრესიულ მანქანას დაუპირისპირდნენ და არ შეუშინდნენ რეალურ საფრთხეს, განსაცდელს, რომელიც პროტესტის ასეთ ფორმას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მათ პროტესტს უფროსი თაობის არა ერთი ღირსეული წარმომადგენელიც შეუერთდა. ახალგაზრდების ამ ნაბიჯმა და პრინციპულმა პოზიციამ, რომელიც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, ნაყოფი გამოიღო – ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი დაუბრუნდა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა საბჭოთა იმპერიის არსებობის განმავლობაში. ეს მოვლენა უმნიშვნელოვანესია იმიტომაც, რომ სწორედ 14 აპრილმა მისცა ბიძგი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას საქართველოში. დღეს სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ, რუსთაველის პროსპექტზე იმ ახალგაზრდებს შორის მეც ვიდექი. არასოდეს დამავიწყდება ის ამაღლებული განცდა, რომელიც, დიდი საფრთხის მიუხედავად, ყველას გვაერთიანებდა. დღეს ჩვენი ვალია, მოვუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, დავიცვათ ქართული ენა და აღვუდგინოთ მას თავისი განსაკუთრებული ადგილი. მე დაგპირდით და ჩვენი მთავრობა ასრულებს დანაპირებს – სპეციალისტებთან და საზოგადოებასთან ერთად იგეგმება სხვადასხვა პროექტის შემუშავება სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ყველა ჩვენს თანამოქალაქეს ქართული ენის შესწავლაში და ამით განვამტკიცოთ მისი სახელმწიფო სტატუსი."

# ქართული დელეგაცია ლონდონში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ქალაქ ლონდონში გაემგზავრა. ამის მიზეზი ლონდონის წიგნის ბაზრობაა, რომელიც 15-17 აპრილს იმართება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი.

დელეგაციის წევრები საქართველოდან გამგზავრებამდე კულტურის სამინისტროში ქართველ გამომცემლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს 15-17 აპრილს დაგეგმილ ლონდონის წიგნის ბაზრობაზე, სადაც საქართველო პირველად იღებს მონაწილეობას. საუბარი ასევე შეეხო მოსამზადებელ სამუშაოებს, რომელიც საქართველომ უნდა გასწიოს, რათა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2015 ან 2016 წელს საპატიო სტუმარი ქვეყანის სტატუსი მოიპოვოს. შეხვედრაზე ასევე განიხილეს მაისში დაგეგმილი თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალის საორგანიზაციო საკითხები.

ლონდონის წიგნის ბაზრობა 15-17 აპრილს გაიმართება. საქართველო პირველად წარდგება ქართული კოლექტიური სტენდით. „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის" ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. სტენდზე დაახლოებით თხუთმეტი ქართული გამომცემლობის წიგნები იქნება წარმოდგენილი. მათ შორის: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", „დიოგენე", „ქარჩხაძის გამომცემლობა", „სიესტა", „ლოგოს პრესი", „პალიტრა ელ", „ბაკმი" და „კლიო". სტენდზე ასევე განთავსდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიტროსა და ,,ლიტერატურის მუზეუმის" გამოცემებიც. ბაზრობის ფარგლებში იგეგმება ქართველი გამომცემლების არაერთი საქმიანი შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან.

ლონდონის წიგნის ბაზრობა ყოველწლიურად აპრილის თვეში იმართება. ბაზრობას თითქმის ორმოცი წლის ისტორია აქვს და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ წიგნის ბაზრობად ითვლება.

ფესტივალი ყოველწლიურად აერთიანებს 25.000-ზე მეტ გამომცემლობას, წიგნის გამავრცელებლებს, ბიბლიოთეკებს და მედიის წარმომადგენლებს. ბაზრობაზე დაახლოებით 1700 საერთაშორისო მონაწილე იყრის თავს. გამომცემლები ბაზრობას ახალი გამოცემების გასავრცელებლად, საავტორო უფლებების შესაძენად და სხვა საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად სტუმრობენ. ფესტივალის ფარგლებში იმართება სხვადასხვა სახის კონფე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საპარტნიორო ფონდის დაფინანსებით ახალციხეში სასტუმრო კომპლექსი გაიხსნა

ახალციხეში, რაბათის ციხის მიმდებარედ (ახალციხე, ხარისჭირაშვილის ქ.1) ჯინო ველნესს სასტუმრო გაიხსნა. რომელიც ს.ს. „საპარტნიორო ფონდის" და Eurocom Investment Georgia-ას ერთობლივი დაფინანსებით აშენდა. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 5 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, საიდანაც საპარტნიორო ფონდის წილმა კონვერტირებადი სესხის სახით 2,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სასტუმრო 38 ნომრიანია. მათ შორის 2 ლუქსის ტიპის ნომერი. სასტუმროს ინფრასტრუქტურა მოიცავს ბარს, რესტორანს, სპას, საუნასა და ღია აუზს.

სასტუმრო ორგანულად ეწერება ციხე რაბათის ტურისტულ კომპლექსში.



სასტუმროს გახსნის ცერემონიალის შემდეგ ს.ს. „საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ და სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტ ბანკის „EXIMBANKA"-ის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოში, ტურიზმის სექტორში ერთობლივი პროექტის განხორციელების თაობაზე.



ირაკლი კოვზანაძის ინფორმაციით ფონდი ტურიზმის განვითარების მიმართულებით კიდევ რამდენიმე პროექტში მონაწილეობს. კერძოდ, ესენია:

ხუთვარსკვლავიანი „რიქსოსის" სასტუმრო ლიკანში (სპა-კურორტი), რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულებაა 38 მლნ აშშ დოლარი (ფონდის მონაწილეობა შეადგენს 15 მლნ აშშ დოლარს).

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონი" წინანდალში 16,8 მლნ აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულებით (ფონდის მონაწილეობა პროექტში განსაზღვრულია 4 მლნ აშშ დოლარით).

2,3 მლნ აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულების სასტუმრო ყვარელში ილიას ტბასთან (ფონდის მონაწილეობა – 1, 15 მლნ აშშ დოლარი).


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამაპაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

● ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დიმიტრი.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# რეგულარული დასრულდა, წინ პლეი ოფებია

**ოლიმპი – არმია 88:56**
**(29:13; 21:10; 20:15; 18:18)**

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის ცენტრალურმა მატჩმა პირველი ადგილის მფლობელი გაარკვია და, ამავდროულად, პლეი ოფის ყველა მონაწილე დააწყვილა.

„ოლიმპმა“ ძალიან იოლად, 32 ქულის სხვაობით სძლია „არმიას“ და რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა.

მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა. არმიელები მესამე წუთისთვის 11:7 იგებდნენ, რის შემდეგაც „ოლიმპმა“ სპურტი მოაწყო და თავდაცვის სამინისტროს გუნდს მომდევნო 6-წუთიანი მონაკვეთი 22:0 მოუგო. შეუჩერებელი გახლდათ ოლიმპელთა სერბი ლეგიონერი სტევან მილოშევიჩი, რომელმაც პირველ მეოთხედში 10 ქულა მოაგროვა. ჩინებულად ირჯებოდა ლევან ფაცაციაც, რომელსაც მცირე შესვენებისთვის 8 ქულა ჰქონდა მოგროვებული.

ოლიმპელებმა შედეგიანი თამაში მეორე პერიოდშიც გააგრძელეს. შეცვლაზე შემოსული მოთამაშეებიც ხეირიანად ჩაერთვნენ თამაშში – ირაკლი მიქელაძის და აკაკი დვალიშვილის ქულებს მიხეილ ბერიშვილის სამიანიც დაემატა და ოლიმპელთა ლიდერობამ 30 ქულას მიაღწია – 45:15. გია კაზანჯიანის გუნდმა მოპოვებული ლიდერობა თამაშის ბოლომდე იოლად შეინარჩუნა და შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დასჭირვებოდა, კიდევ უფრო დიდი სხვაობით მოიგებდა. საბოლოოდ 88:56 და „ოლიმპი“ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულია.

გამარჯვებულთაგან 25 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო სტევან მილოშეჩევიჩი იყო, ხოლო ლევან ფაცაციამ თავისიანებს 23 ქულა შესძინა. არმიელთაგან 10-ქულიანი ბარიერი ორმა მოთამაშემ დაძლია: ლაშა ფარღალავა – 15 ქულა, შარაბიძე – 10.

**მატჩის შემდეგ**

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– ვულოცავ ჩემს გუნდს პირველ ადგილს და მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს მშვენიერი თამაშისთვის. ძალიან კარგად ვიასპარეზეთ, მომენტებში იდეალური დაცვაც იყო. ამ სეზონში საუკეთესო თამაშით დავასრულეთ რეგულარული და ეს ძალიან სასიხარულოა.

**კოტე ტუღუში (არმია):**

– ვულოცავ „ოლიმპს“ რეგულარული ჩემპიონატის მოგებას. ძალიან ძლიერი გუნდია და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. იდეალური თამაში ჩაატარეს ჩვენგან განსხვავებით. არათუ სეზონში, არამედ არსებობის მანძილზე ჩვენს გუნდს ასეთი ცუდი თამაში არ ჰქონია, ამაში ოლიმპის დიდი დამსახურებაა. ყველა სათამაშო კომპონენტში გვაჯობეს. ძალიან ცუდია რეგულარულის ასეთი შედეგით დამთავრება, მე-3 ადგილზე გვინდოდა გასვლა, მაგრამ არ გამოგვივიდა. ახლა სერიოზული გამოცდა გველის. იმედი მაქვს, ჩემი გუნდი ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებს და პლეი ოფებს სწორი განწყობით შეხვდება.

**სტევან მილოშევიჩი (ოლიმპი):**

– მადლობა ჩემს გუნდს, მივულოცავ პირველ ადგილზე გასვლას. ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. შედეგი ლოგიკური იყო, ძალიან კარგი დაცვა ვითამაშეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ.

**ლაშა ფარღალავა (არმია):**

– პირველ რიგში, ვულოცავ „ოლიმპს“ . რაც შეგვეხება ჩვენ, მართალია სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა არმია არ არის ასეთი გუნდი, მას სხვა მიზნები აქვს და მჯერა, რომ პლეი ოფებისთვის შეცდომებს აუცილებლად გამოვასწორებთ.

**შსს აკადემია – თსსუ 104:31**
**(32:10; 26:6; 24:11; 22:4)**

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა თსსუ-ს 104:31 მოუგო, რაც რეკორდული მაჩვენებია – 73-ქულიანი სხვაობა რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე დიდია.

ამავდროულად, მიმდინარე სეზონის ანტირეკორდი დამყარდა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის მიერ, რომელმაც 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ 31 ქულა ჩააგდო. მედიკოსებმა მესამე და ბოლო მეოთხედებში 10 ქულას ვერ მიაღწიეს, ხოლო პირველში 10, ხოლო მესამეში - 11 ჩააგდეს.

რაც შეეხება „შსს-აკადემიას“, გიორგის კეცელიდისის გუნდმა აღნიშნული შეხვედრა პლეი ოფისთვის მოსამზადებლად გამოიყენა. აკადემიელებმა რამდენიმე სათამაშო კომპონენტი დახვეწეს და როგორც ნამატჩევს მათმა მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, გუნდის მომზადებით კმაყოფილია.

„შსს-აკადემიაში“ 10-ქულიანი ბარიერი ექვსმა კალათბურთელმა დაძლია, რომელთაგან საუკეთესო შედეგი კირკ არჩიბექმა დააფიქსირა – 27 ქულა, 9 მოხსნა. 11-11 ქულა დააგროვა სამმა კალათბურთელმა – ბენჯამინ რეიმონდმა, დენოტა ვონმა და რევაზ როგავამ. 12 ქულა ჰქონდა ჩად პრევიტს, ხოლო 13 მერაბ ბოქოლიშვილს.

**გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):**

– ამ თამაშით დასრულდა რეგულარული სეზონი. ვულოცავ და მადლობას გადავუხდი საქართველოს კალათბურთის ფედერაციას სუპერლიგის ორგანიზებისა და გაწეული სამსახურისთვის. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, ეს კიდევ ერთი ვარჯიში იყო პლეი ოფისთვის და მეტი არაფერი. მე პატივს ვცემ თსსუ-ს მწვრთნელს და მადლობას ვეუბნები. ჩვენ უკვე ვიწყებთ სპეციალური პროგრამით პლეი ოფისთვის მომზადებას.

**თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):**

– ვულოცავ მოგებას „შსს აკადემიას“. ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდა მათთან თამაში. წარმატებას ვუსურვებ პლეი ოფში. ჩვენთვის დამთავრდა სეზონი, მადლობა ფედერაციას ასეთი წარმატებული ჩემპიონატისთვის. დაგემშვიდობებით მომავალ სეზონამდე.

**რუსთავი – ბათუმი 84:73**
**(18:20; 17:16; 31:16; 18:21)**

ბათუმელთათვის ამ მატჩის შედეგი არაფერს ცვლიდა. მიხეილ კობეშავიძის გუნდი რეგულარულ ჩემპიონატს ნებისმიერ შემთხვევაში მე-9 ადგილზე ასრულებდა. რუსთაველებს კი იმისთვის სჭირდებოდათ გამარჯვება, რომ მესამე ადგილზე გასვლის შანსი შერჩენოდათ. ქვემოქართლელებმა თავისი საქმე გააკეთეს, ბათუმელები დაამარცხეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ახალი იდეა – თავსატეხი და საფიქრალი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტულ გადაცემა „არენაში" საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გაერთიანებული პრემიერლიგის შესახებ განაცხადა. დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელმა - ლევან ფანიაშვილმა თანამდებობა დატოვა. დავით მინაშვილის კითხვაზე, რა მოხდა ფანიაშვილთან დაკავშირებით, სიჭინავამ სწორედ ამ სიახლით გასცა პასუხი.



მისი თქმით, ლევან ფანიაშვილი აღნიშნულ პროექტშია ჩართული. ზვიად სიჭინავას განცხადებით, სამუშაოები უკვე დაწყებულია, გაერთიანებული პრემიერლიგის ჩატარებას კი დაახლოებით 50 მლნ დოლარი დასჭირდება. ამ ეტაპზე ქვეყნებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, საქმის კურსში უეფასაც მალე ჩააყენებენ.

სფფ-ს ხელმძღვანელის თქმით, გაერთიანებულ პრემიერლიგაში თითოეული ქვეყნიდან 6-6 გუნდი ისაპარეზებს. ამ პროექტში მნიშვნელოვანია მედიის როლი, რადგან მატჩები უნდა გაშუქდეს, პოპულარიზაციის მიზნით. სიჭინავას განცხადებით, აზერბაიჯანი უკვე მზად არის საქართველოსთან ერთად შექმნას პრემიერლიგა, ყაზახეთთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ამ პროექტის განხორციელებამდე კი 1 წლის განმავლობაში საცდელი პერიოდი იქნება, სადაც გამოიკვეთება ტურნირის ავკარგიანობა.

მსგავსი პროექტის შესახებ პირველად რუსეთმა და უკრაინამ განაცხადეს, ამ საკითხს უეფა განიხილავს. მათი ბიუჯეტი 1 მლრდ დოლარია. როგორც სიჭინავამ თქვა, გაერთიანებული ჩემპიონატის ჩატარება ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც სურთ.

იდეას არ ემხრობა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა კალაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ფეხბურთში შიდა ჩემპიონატი დამოუკიდებლად უნდა გაგრძელდეს. ამის შესახებ მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, როდესაც ფეხბურთის ფედერაციაში მიმდინარე მსჯელობას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, საქართველომ, ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა ფეხბურთში ერთობლივი ჩემპიონატი უნდა ჩაატარონ.

**კახა კალაძე:**

– ვერ გეტყვით, რამდენად მისაღები იქნება ეს გულშემატკივრებისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვინც სპორტით დაინტერესებულია. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვატარებთ შიდა, დამოუკიდებელ ჩემპიონატს და ეს უნდა გაგრძელდეს. ჩვენ პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ შიდა ჩემპიონატის გაძლიერებას, იქნება ეს ფინანსების კუთხით და სამომავლოდ ამაში სახელმწიფოც უნდა ჩაერთოს, თუ იქნება ეს ინფრასტრუქტურის განვითარება. ხელი უნდა შევუწყოთ მათ, რომ 15-16 წლის ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები მინიმუმ 3-4 წლის განმავლობაში მაინც დარჩნენ საქართველოში. ეს მოახდენს იმას, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე აიწევა და საინტერესო გახდება ყველასთვის.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ საქართველო-აზერბაიჯანი-ყაზახეთის გაერთიანებული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების იდეა მისთვის ნაცნობია და ამ თემაზე თავადაც უმუშავია. მისი კომენტარი ხსენებული სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**ლევან ყიფიანი:**

– ყველა იდეა, რაც სპორტის განვითარებას ეხება, საინტერესოა და რა თქმა უნდა, მივესალმებით. ეს პროექტი ჩემთვის ცნობილია. ამ პროექტზე მე თავად ვმუშაობდი. მისაუბრია როგორც აზერბაიჯანულ ასევე ყაზახურ მხარესთან. თუმცა, ისიც ვიცი, რა სიძნელეები შეიძლება შეგვხვდეს. ჯერ დეტალები ცნობილი არ არის და დეტალებში რომ გავერკვევით სასაუბრო მეტი გვექნება და საზოგადოებისთვის მოსაყოლი. ეს პროექტი განიხილება როგორც ბიზნეს-პროექტი. სახელმწიფოს ინტერესია, განვითარდეს ფეხბურთი და კლუბები. თუ რა ფორმით მიიღებს სახელმწიფო მონაწილეობა ამ წამოწყებაში, ცნობილი გახდება, როდესაც პროექტი მზად იქნება.

ამ იდეაზე უარი განაცხადა ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამაც. მათი პოზიციაა, რომ გაერთიანებას აზრი არ აქვს, რადგან ყაზახეთის პრემიერლიგა ისედაც ვითარდება და კონკურენტუნარიანი ხდება.

ჩვენის მხრივ, ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით, რადგან უკვე გამოიკვეთა ის სირთულეები, რომელიც ამ ტურნირს თან ეხლება, ამასთან, ძალიან ბევრი და გაცილებით პრობლემატური, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. ლიგის თასი**

მილუოლი-უიგანი ........................ 0:2

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ნორვიჩი ........................ 3:1
ევერტონი-ქპრ ........................ 2:0
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი ........................ 1:1
რედინგი-ლივერპული ........................ 0:0
ასტონ ვილა-ფულემი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 31 | 25 | 2 | 4 | 71:33 | 77 |
| 2.სიტი | 31 | 19 | 8 | 4 | 57:27 | 65 |
| 3.არსენალი | 32 | 17 | 8 | 7 | 64:35 | 59 |
| 4.ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 61:33 | 58 |
| 5.ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55:40 | 58 |
| 6.ევერტონი | 32 | 14 | 13 | 5 | 51:37 | 55 |
| 7.ლივერპული | 33 | 13 | 11 | 9 | 59:40 | 50 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42:43 | 44 |
| 9.სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43:42 | 41 |
| 10.ფულემი | 32 | 10 | 10 | 12 | 44:48 | 40 |
| 11.საუთჰემპტონი | 33 | 9 | 11 | 13 | 47:54 | 38 |
| 12.ვესტ ჰემი | 32 | 10 | 8 | 14 | 36:45 | 38 |
| 13.ნიუკასლი | 32 | 10 | 6 | 16 | 42:56 | 36 |
| 14.ნორვიჩი | 33 | 7 | 14 | 12 | 31:52 | 35 |
| 15.სტოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 28:39 | 34 |
| 16.ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36:60 | 34 |
| 17.სანდერლენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:45 | 31 |
| 18.უიგანი | 31 | 8 | 7 | 16 | 37:57 | 31 |
| 19.ქპრ | 33 | 4 | 12 | 17 | 27:54 | 24 |
| 20.რედინგი | 33 | 5 | 9 | 19 | 36:63 | 24 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლიდსი-უენსდი ........................ 2:1
ბარნსლი-ჩარლტონი ........................ 0:6
ბლექბერნი-დერბი ........................ 2:0
ბლექპული-ბარნლი ........................ 1:0
ბრისტოლი-ბოლტონი ........................ 1:2
ვულვზი-ჰადერსფილდი ........................ 1:3
იფსვიჩი-ჰალი ........................ 1:2
კარდიფი-ნოტინგემი ........................ 3:0
მილდსბრო-ბრაიტონი ........................ 0:2
პიტერბრო-უოტფორდი ........................ 3:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ხეტაფე ........................ 2:1
ლევანტე-დეპორტივო ........................ 0:4
ესპანიოლი-ვალენსია ........................ 3:3
მალაგა-ოსასუნა ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95:33 | 78 |
| 2.რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77:29 | 65 |
| 3.ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51:25 | 62 |
| 4.სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55:39 | 51 |
| 5.ვალენსია | 31 | 14 | 8 | 9 | 47:45 | 50 |
| 6.მალაგა | 31 | 14 | 8 | 9 | 44:32 | 50 |
| 7.ბეტისი | 31 | 14 | 6 | 11 | 47:46 | 48 |
| 8.ხეტაფე | 31 | 12 | 8 | 11 | 39:46 | 44 |
| 9.რაიო | 30 | 14 | 2 | 14 | 40:49 | 44 |
| 10.სევილია | 31 | 12 | 6 | 13 | 48:45 | 42 |
| 11.ესპანიოლი | 31 | 10 | 10 | 11 | 40:42 | 40 |
| 12.ლევანტე | 31 | 11 | 7 | 13 | 35:50 | 40 |
| 13.ვალიადოლიდი | 31 | 10 | 8 | 13 | 40:44 | 38 |
| 14.ბილბაო | 30 | 10 | 5 | 15 | 34:53 | 35 |
| 15.ოსასუნა | 31 | 8 | 7 | 16 | 26:36 | 31 |
| 16.დეპორტივო | 31 | 7 | 8 | 16 | 42:64 | 29 |
| 17.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 28:45 | 28 |
| 18.სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28:46 | 27 |
| 19.სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29:45 | 24 |
| 20.მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32:63 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლას პალმასი-ერკულესი ........................ 0:0
ლუგო-ალკორკონი ........................ 0:1
მირანდესი-ალმერია ........................ 1:0
რასინგი-ხირონა ........................ 0:1
ხიხონი-გვადალახარა ........................ 3:0
უელვა-რეალი ბ ........................ 1:3
ნუმანსია-ბარსელონა ბ ........................ 0:1

**იტალია. სერია ა**

პესკარა-სიენა ........................ 2:3
ატალანტა-ფიორენტინა ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61:20 | 71 |
| 2.ნაპოლი | 31 | 18 | 8 | 5 | 57:29 | 62 |
| 3.მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 55:34 | 58 |
| 4.ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 58:39 | 55 |
| 5.ლაციო | 31 | 15 | 6 | 10 | 40:37 | 51 |
| 6.ინტერი | 31 | 15 | 5 | 11 | 50:43 | 50 |
| 7.რომა | 31 | 14 | 6 | 11 | 61:52 | 48 |
| 8.კატანია | 31 | 13 | 7 | 11 | 40:37 | 46 |
| 9.უდინეზე | 31 | 11 | 12 | 8 | 41:39 | 45 |
| 10.პარმა | 31 | 10 | 9 | 12 | 39:39 | 39 |
| 11.კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 37:49 | 39 |
| 12.ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41:40 | 37 |
| 13.ატალანტა | 32 | 11 | 6 | 15 | 34:47 | 37 |
| 14.სამპდორია | 31 | 10 | 7 | 14 | 36:38 | 36 |
| 15.ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39:41 | 36 |
| 16.კიევო | 31 | 10 | 5 | 16 | 32:48 | 35 |
| 17.სიენა | 32 | 9 | 9 | 14 | 34:44 | 30 |
| 18.ჯენოა | 31 | 6 | 9 | 16 | 31:49 | 27 |
| 19.პალერმო | 31 | 5 | 12 | 14 | 28:44 | 27 |
| 20.პესკარა | 32 | 6 | 3 | 22 | 24:66 | 21 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-მოდენა ........................ 2:3
ბარი-ლანჩანო ........................ 4:3
ვარეზე-ლივორნო ........................ 1:3
კროტონე-პრო ვერჩელი ........................ 2:1
ნოვარა-ვიჩენცა ........................ 3:1
სასუოლო-ბრეშა ........................ 1:1
ტერნანა-რეჯინა ........................ 1:0
ჩიტადელა-პადოვა ........................ 3:3
იუვე სტაბია-სპევია ........................ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ნიურნბერგი ........................ 4:0
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი ........................ 2:2
ფიურტი-დორტმუნდი ........................ 1:6
მაინცი-ჰამბურგი ........................ 1:2
ფორტუნა-ვერდერი ........................ 2:2
შალკე-ლევერკუზენი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 25 | 3 | 1 | 83:13 | 78 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 17 | 7 | 5 | 72:35 | 58 |
| 3.ლევერკუზენი | 29 | 14 | 8 | 7 | 53:38 | 50 |
| 4.შალკე | 29 | 13 | 7 | 9 | 50:45 | 46 |
| 5.ფრაიბურგი | 29 | 12 | 9 | 8 | 39:34 | 45 |
| 6.აინტრახტი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:40 | 42 |
| 7.გლადბახი | 28 | 10 | 11 | 7 | 36:37 | 41 |
| 8.ჰამბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 34:45 | 41 |
| 9.მაინცი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:34 | 39 |
| 10.ჰანოვერი | 29 | 11 | 5 | 13 | 50:49 | 38 |
| 11.ნიურნბერგი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:39 | 38 |
| 12.ვოლფსბურგი | 29 | 8 | 10 | 11 | 35:45 | 34 |
| 13.შტუტგარტი | 28 | 9 | 6 | 13 | 29:46 | 33 |
| 14.ვერდერი | 29 | 8 | 8 | 13 | 45:56 | 32 |
| 15.ფორტუნა | 29 | 7 | 9 | 13 | 35:45 | 30 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 29 | 6 | 6 | 17 | 35:54 | 24 |
| 16.აუგსბურგი | 28 | 5 | 9 | 14 | 25:44 | 24 |
| 18.ფიურტი | 29 | 2 | 9 | 18 | 19:52 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-მიუნხენ 1860 ........................ 3:1
ფრანკფურტი-დუისბურგი ........................ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტრუა-პსჟ ........................ 0:1
აიაჩო-ნანსი ........................ 1:1
ბორდო-მონპელიე ........................ 4:2
ბრესტი-რეიმსი ........................ 0:2
ლორიენი-ბასტია ........................ 4:1
ევიანი-რენი ........................ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 20 | 7 | 5 | 57:20 | 67 |
| 2.მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36:32 | 57 |
| 3.სენტ ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51:25 | 54 |
| 4.ლიონი | 31 | 15 | 8 | 8 | 49:33 | 53 |
| 5.ლილი | 31 | 14 | 10 | 7 | 48:31 | 52 |
| 6.ნიცა | 31 | 14 | 9 | 8 | 45:37 | 51 |
| 7.მონპელიე | 32 | 14 | 6 | 12 | 49:41 | 48 |
| 8.ლორიენი | 32 | 12 | 11 | 9 | 52:51 | 47 |
| 9.ბორდო | 32 | 11 | 13 | 8 | 33:28 | 46 |
| 10.რენი | 32 | 12 | 6 | 14 | 43:47 | 42 |
| 11.ტულუზა | 31 | 10 | 11 | 10 | 39:38 | 41 |
| 12.ბასტია | 32 | 11 | 6 | 15 | 43:60 | 39 |
| 13.რეიმსი | 32 | 9 | 10 | 13 | 31:37 | 37 |
| 14.ვალანსიენი | 32 | 9 | 10 | 13 | 41:48 | 37 |
| 15.აიაჩო | 32 | 8 | 13 | 11 | 33:41 | 35 |
| 16.ევიანი | 32 | 8 | 10 | 14 | 38:46 | 34 |
| 17.სოშო | 31 | 8 | 8 | 15 | 32:47 | 32 |
| 18.ნანსი | 32 | 7 | 10 | 15 | 30:48 | 31 |
| 19.ბრესტი | 32 | 8 | 5 | 19 | 29:50 | 29 |
| 20.ტრუა | 32 | 4 | 13 | 15 | 36:55 | 25 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ოსერი-მონაკო ........................ 0:2

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

როდა-ვიტესი ........................ 3:3
ბრედა-ნაიმეგენი ........................ 2:0
ერაკლესი-გრონინგენი ........................ 0:2
დენ ჰააგი-ტვენტე ........................ 1:3

**პორტუგალია. ლიგის თასი**
**ფინალი**

პორტუ-ბრაგა ........................ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-ზენიტი ........................ 0:1
ტერეკი-ყუბანი ........................ 2:2
კრასნოდარი-კრ.სოვეტოვი ........................ 0:3

**შოტლანდია. ლიგის თასი**

ჰიბერნიანი-ფოლკირკი ........................ 4:3(დდ)

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ლოზანა ........................ 1:0
სერვეტი-სტ.გალენი ........................ 1:3

**ავსტრია. 1 ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგერი-რიდი ........................ 1:3
ადმირა-ინსბრუკი ........................ 4:3
მატერსბურგი-ზალცბურგი ........................ 1:2
რაპიდი-ნოიშტადი ........................ 2:0

**ბელგია. პრო ლიგა**

გენტი-ლოკერენი ........................ 2:1
ლიერსი-გენტი ........................ 1:2
ლეუვენი-მეხელენი ........................ 0:3
კორტრაიკი-მონსი ........................ 3:0
შარლერუა-ბევერენი ........................ 1:1
ბეერსხოტი-სერკლი ........................ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

მერსინი-ბურსა ........................ 0:1
ქარაბუქი-გალათასარაი ........................ 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

დუკლა-იაბლონეცი ........................ 5:1
პრჟიბრჟამი-იიჰლავა ........................ 2:2
ლიბერეცი-ჰრადეც კრალოვე ........................ 1:0
ტეპლიცე-ბუდეოვიცე ........................ 4:0
სპარტა-სლავია ........................ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბელხატუვი-ხოჟუვი ........................ 0:3
პოლონია-შლიონსკი ........................ 2:2
ვისლა-ლეგია ........................ 1:2

**ლეგიას პირველი გოლი**
**ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კრივბასი-ტავრია ........................ 2:0
შახტარი-ზორია ........................ 3:0
კარპატი-დინამო ........................ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ჰორსენსი ........................ 5:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიანსკა-ესტერი ........................ 0:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

მიოლდე-სონგდალი ........................ 1:2
ვალერენგა-სტრომგოდსეტი ........................ 0:3

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-კორკი ........................ 2:0

**აშშ. მლს**

ვანკუვერი-სოლტ ........................ლეიკი 1:1
ფილადელფია-ტორონტო ........................ 1:1
სიეტლი-ნიუ ენგლანდი ........................ 0:0
დ.ს. იუნაიტედი-ნიუ იორკი ........................ 0:2
დალასი-ლოს ანჯელესი ........................ 1:0
ჩივასი-კოლორადო ........................ 0:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სან მარტინი-ბოკა ........................ 6:1
სან ლორენცო-რასინგი ........................ 1:4
ლანუსი-ოლ ბოიზი ........................ 2:1

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ორლანდო-ბოსტონი ........................ 88:120
შარლოტი-მილუოკი ........................ 95:85
მემფისი-კლიპერსი ........................ 87:91
მინესოტა-ფინიქსი ........................ 105:93

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ტამპა ბეი ........................ 6:5(ოტ)
კაროლინა-ბოსტონი ........................ 4:2
აილენდერსი-რეინჯერსი ........................ 0:1(ოტ)
ტორონტო-მონრეალი ........................ 5:1
ფლორიდა-პიტსბურგი ........................ 1:3
დალასი-სან ხოსე ........................ 2:1
მინესოტა-კოლამბუსი ........................ 2:2(0:1ბ)
ედმონტონი-კალგარი ........................ 1:4
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი ........................ 2:1

# ქართული დელეგაცია ლონდონში გაემგზავრა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რენციები, პრეზენტაციები და ფორუმები. 2007 წლის შემდეგ ლონდონის წიგნის ბაზრობა ტრადიციულად „ერლს ქორთის“ საგამოფენო ცენტრში მიმდინარეობს.

ქართულ დელეგაციას ლონდონში დაგეგმილი თავისი ვიზიტის ფარგლებში ყველა დღე სამუშაო თვალსაზრისით უკვე გაწერილი აქვს.

15 აპრილს ლონდონის წიგნის ბაზრობის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი და ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი შეხვდებიან ბრიტანელ მთარგმნელს დონალდ რეიფილდს, ბრიტანელ ჟურნალისტსა და გამომცემელს პიტერ ნესმითს და ამერიკელ-ბრიტანელ გამომცემელს ჯონ ობრაიენს. შეხვედრების მიზანია ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმების დასახვა ბრიტანულ და ქართულ გამომცემლობებსა და ავტორებს შორის.

მომავალ წელს ლონდონის წიგნის ბაზრობაზე საქართველო გეგმავს უფრო მასშტაბურ წარდგენას, სადაც ჩართული იქნება კიდევ უფრო მეტი გამომცემლობა, გაიზრდება თარგმანების რაოდენობა და მოეწყობა ავტორების კითხვის საღამოები.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდებიან ბრიტანეთის ქორთოლდის ხელოვნების ინსტიტუტის ფრესკული ხელოვნების კონსერვაციის დეპარტამენტის დირექტორს დევიდ პარკს. საუბარი შეეხება ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსის უნიკალური ფრესკული მემკვიდრეობის კონსერვაციის პროექტს. შეხვედრას ასევე დაესწრება მეცნიერი შერონ ქეთერი, რომელიც 6 თვის განმავლობაში ვარძიის კომპლექსზე კვლევებს ატარებდა.

16 აპრილს კულტურის მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდებიან „თბილისის მემკვიდრეობის ჯგუფს“ – სტეფან ნეშს, პიტერ ნესმითს და სეივის წარმომადგენლებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, კერძოდ კი საუბარი შეეხება ძველი თბილისის პრობლემატიკას და სეივის მიერ დაგეგმილ პუბლიკაციას ძველი თბილისის შესახებ, რომელსაც სამინისტრო უჭერს მხარს.

ქართული დელეგაცია შეხვდება როიალ ქორთ თეატრის საერთაშორისო ურთიერთობების უფროსს ელზა დოგსონს. ამ თეატრში უკვე გაიმართა ლაშა ბუღაძის პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ საჯარო კითხვა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. საუბარი შეეხება ლაშა ბუღაძისა და ასევე სხვა ქართველი დრამატურგების თანამშრომლობას ბრიტანულ თეატრთან.

დაგეგმილია ქართული დელეგაციის შეხვედრა პარლამენტართან, სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან კულტურის, კომუნიკაციებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების დარგში (კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი) ედ ვეიზეისთან. შეხვედრაზე ისაუბრებენ ორი ქვეყნის, საქართველოსა და ბრიტანეთის კულტურის პოლიტიკის შესახებ.

შეხვედრას ქართულ დიასპორასთან ლონდონში დაესწრება ქართული დელეგაციის სრული შემადგენლობა. შეხვედრა გაიმართება ლონდონის უნივერსიტეტში.

17 აპრილს უკვე დაგეგმილია დელეგაციის შეხვედრა იუნიქორნ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან პურნი მორელთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ უმასპინძლა თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრის მმართველს დიმიტრი ხვთისიაშვილს და ამ თეატრთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვა.

ლონდონის წიგნის ბაზრობაზე დაგეგმილია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას, მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის, მინისტრის მრჩევლის თეონა დოლენჯაშვილისა და ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელის მედეა მეტრეველის შეხვედრა ლონდონის წიგნის ბაზრობის დირექტორთან ჟაკ ტომასთან. შეხვედრაზე განიხილება საკითხები, რომელიც მომავალ წელს საქართველოს უფრო მასშტაბურად წარდგენას შეეხება ლონდონის წიგნის ბაზრობაზე.

შედგება ასევე შეხვედრა ბრიტანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარესთან ჟეისონ ოსბორნთან. განიხილება 2013 წლის შემოდგომაზე, რივერსაიდ სტუდიოს ქართული ფილმის ფესტივალის საკითხი და სხვა ერთობლივი პროექტები.

18 აპრილს სპეციალურად სამინისტროს დელეგაციისთვის ბრიტანეთის მუზეუმში გამოფენილი იქნება წმინდა ქეთევანის რელიკვიური გულსაკიდი და დავით აღმაშენებლის მონეტა. ბრიტანეთის მუზეუმში მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდებიან შუა აღმოსავლეთის მონეტებისა და მედლების დეპარტამენტის კურატორს ვესტა სარკოზს, კოლექციების დირექტორს ჯონათან ვილიამსს და მედლებისა და მონეტების დეპარტამენტის მცველს ფილიპ ეთვუდს.

გაიმართება ქართული დელეგაციის შეხვედრა ბრიტანეთის საკონსულოს პრეზიდენტთან მარტის დევიდსონთან. საუბარი შეეხება სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებას საქართველოში ბრიტანეთის საბჭოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის, საქართველოს კულტურის პოლიტიკის განვითარების სფეროში.

მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი შეხვდება ინგლისის ხელოვნების საბჭოს პრეზიდენტს ალან დევეის. მხარეები ისაუბრებენ კულტურის სფეროს მართვის საკითხებზე და ზოგადად კულტურის პოლიტიკაზე.

შეხვედრა შედგება ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში ევროპული კოლექციის ხელმძღვანელთან ჯანეტ ზმორზეკთან. საუბარი შეეხება ქართულ ხელნაწერებს და მათ გადატანას ციფრულ მატარებლებზე.

ქართული დელეგაცია ლონდონიდან საქართველოში 19 აპრილს დაბრუნდება.

# ანკარაში მოლაპარაკებები დასრულებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რძელდეს სამუშაოები იშხანზე და რა ხარვეზების გამოსწორებაა შესაძლებელი. თურქული მხარე თანახმაა გაითვალისწინოს ქართველი სპეციალისტების რეკომენდაციები იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ყველა ეტაპზე.

მარინე მიზანდარისა და ოზგურ ოზასლანის შეხვედრაზე ასევე, შედგა სიტყვიერი შეთანხმება – თურქეთის მხარის კეთილი ნების ნიშნად, ქართველი სპეციალისტები იშხანთან ერთად ოშკსაც მოინახულებენ.

მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, თურქეთის კულტურული მემკვიდრეობისა და მუზეუმების გენერალური დირექტორატის დირექტორი აბდულა კოჯაფინარი, საგარეო ურთიერთობისა და ევროკავშირთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ონურ გოზე.

## სპორტი

# თასის ნახევარფინალისტები ფინალის თარიღზეც შეთანხმდნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში დასრულდა დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალების წილისყრა. წილისყრას ნახევარფინალში გასული ოთხივე კლუბის – „დინამო" თბილისის, საჩხერის „ჩიხურას", რუსთავის „მეტალურგისა" და ბოლნისის „სიონის" ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

გუნდები წილისყრაზე გამოვიდნენ ამ დროისათვის ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით. საბოლოოდ, საქართველოს თასის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

**მეტალურგი-დინამო (თბ); ჩიხურა-სიონი;**

პირველი მატჩები გაიმართება 23 აპრილს. განმეორებითი კი - 8 მაისს. მატჩების დასაწყისი 16:00 საათზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართული თასის ნახევარფინალების წილისყრაზე გადაწყდა, რომ მაისში, თასის ფინალური მატჩის თარიღი შეიცვლება. ცვლილება განაპირობა უეფას კონგრესმა, რომელიც 23-25 მაისს ლონდონში უნდა გაიმართოს და მას აუცილებლად უნდა დაესწრონ სფფ-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი.

ამის გამო, ზვიად სიჭინავამ თხოვნით მიმართა ოთხივე კლუბის ხელმძღვანელს, გაეთვალისწინებინათ ეს შემთხვევა და ვინაიდან, პრეზიდენტი და გენერალური მდივანი 23 მაისს უნდა გაემგზავრონ, საქართველოს თასის ფინალი გაიმართოს 22 მაისს. კლუბების ხელმძღვანელები შემოთავაზებულ წინადადებას დაეთანხმნენ. ამრიგად, 8 მაისს, ნახევარფინალების განმეორებითი მატჩების დასრულების შემდეგ გაირკვევა, თუ რომელი ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს ფინალში – 22 მაისს.

მ. ყ.

# რეგულარული დასრულდა, წინ პლეი ოფებია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რაც შეეხება მატჩს, ბათუმელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მესამე მეოთხედში გატყდნენ, რომელიც 31:16 წააგეს.

რუთაველებში 22 ქულით საუკეთესო კაილ ნელსონი გახლდათ, ხოლო მეორე ამერიკელმა – ნეით ბოუიმ 16 ქულა მიითვალა. ბათუმელებს 24 ქულით ნიკა რამიშვილმა ულიდერა, 17 ქულა ჰქონდა ვანო მაისურაძეს, ხოლო დავით ყველაშვილმა შეხვედრა 14 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა.

**მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):**

– ვულოცავ რუსთაველებს გამარჯვებას. ჩვენი გუნდების შემადგენლობებში სხვაობა დიდია. „რუსთავს“ გაცილებით ძლიერი კალათბურთელები ჰყავს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

**მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):**

– ვულოცავ რუსთაველ გულშემატკივრებს. კარგია, რომ რეგულარული ჩემპიონატი მოგებით დავასრულეთ. „ბათუმი“ არაა ის გუნდი, რომელსაც ვერ დავამარცხებდით და აქედან გამომდინარე, მატჩის შედეგი ლოგიკურია. ახლა ჩვენი საზრუნავი პლეი ოფისთვის მომზადებაა.

**დინამო – სტუ 111:88**
**(35:24; 27:20; 23:16; 26:28)**

მატჩს ინტრიგა არ ახლდა, აღნიშნულ მატჩში გუნდები დაცვაში თამაშით თავს არ იწუხებდნენ. ამიტომაც იყო, დიდი ანგარიში რომ დაფიქსირდა. დინამოელებმა 111:88 მოიგეს, რაშიც განსაკუთრებული წვლილი ფლინ კლაიმენმა და კენიონ კარტერმა დაიდეს. ორივე ამერიკელმა ლეგიონერმა დინამოს 29-29 ქულა შესძინეს. 19 ქულა ჰქონდა დინამოელთა კიდევ ერთ ამერიკელ ლეგიონერ ლამარ კარიმს.

რაც შეეხებათ სტუდენტებს, მათ შორის საუკეთესო ტატო ჩაჩიბაია გახლდათ, რომელმაც 22 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა. 16 ქულა დააგროვა გიგა კვეტენაძემ, ზურა მაჩალაძეს კი ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – 12 ქულა, 9 მოხსნა.

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– სასიამოვნოა, რომ მოვიგეთ. ამ თამაშზე ბევრი სათქმელი არაფერი მაქვს, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მიღებული 88 ქულა საკმაოდ ბევრია და აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. კარგია, რომ ყველას მივეცით თამაშის საშუალება. ახლა უკვე ცნობილია ჩვენი მომავალი მეტოქე და მოვემზადებით პლეი ოფისთვის.

**ზურაბ ტომარაძე (სტუ):**

– ჩვენზე გაცილებით ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ და შედეგიც ლოგიკური იყო. დინამო ჩემი ფავორიტია, ძალიან დალაგებული და ორგანიზებული გუნდია და წარმატებას ვუსურვებ. ჩვენ დავამთავრეთ ჩემპიონატი და მინდა მადლობა ვუთხრა ყველას კარგი ორგანიზებისთვის. სამწუხაროა, რომ ვერ გავამართლეთ იმედები სხვადასხვა სუბიექტური მიზეზის გამო.

**ფლინ კლაიმენი (დინამო):**

– მიხარია, რომ მოვიგეთ. კარგად ვითამაშეთ როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. თანაც თამაშის საშუალება ყველას მიეცა და ყველა მოთამაშემ ქულებით დაასრულა შეხვედრა.

**ვატო თევზაძე (სტუ):**

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს, მართლაც ძალიან კარგი გუნდია, საკმაოდ ძლიერი ლეგიონერები ჰყავთ და წარმატებებს ვუსურვებ.

**ქუთაისი - სოხუმი 87:76**
**(22:17; 21:24; 22:12; 22:23)**

მატჩის პირველი ტაიმი გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და დიდი შესვენებისთვის ქუთაისის გუნდი 2 ქულით გავიდა წინ – 43:41. მესამე მეოთხედში მასპინძლებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და 65:53 დაწინაურდა. გადამწყვეტ მეოთხედში კი სოხუმელებმა ველარ შეძლეს თამაშის შემობრუნება და მარცხი განიცადეს.

იმერელთა შემადგნლობაში – 23 ქულით საუკთესო ზაურ ფაშაევი იყო, 19 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ, ხოლო რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

„სოხუმის“ მხრიდან ორმაგი დუბლით 23 ქულითა და 13 მოხსნით სერგო ათაუშვილი გამოირჩა, ვახტან ქადარიას და ბოსკო სტოიაკოვიჩისა ანგარიშზე კი 15-15 ქულაა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს 15 ქულასთან ერთად 8 პასიც მოუგროვდა და ორმაგ დუბლამდე 2 შედეგიანი პასი დააკლდა.

**დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):**

– მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა, თუმცა თამაშს მაინც ჩვნ ვაკონტროლებდით და ვფიქრობ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ტრავმის გამო გვაკლა ორი მოთამაშე – ბუბა კვიმსაძე და დავით ბარბაქაძე, რომლებიც გუნდს 2-3 დღეში შემოუერთდებიან. რაც შეეხება ზოგადად წლევანდელ ჩემპიონატს, ჩვენი რამდენიმე თამაშის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და ვფიქრობ გვქონდა შანსი ჩემპიონატი უკეთეს ადგილზე დაგვესრულებინა. ველოდებით ჩვენს მეტოქეს პლეი ოფში და მაქსიმალურად ვემზადებით.

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– ჩვენთვის თამაშს იმდენად დიდი ინტერესი არ ჰქონია, რამდენადაც იმას რომ რეგულარული სეზონი 10 მოგებითა და 10 მარცხით დაგვსრულებინა. რა თქმა უნდა მოგება გვინდოდა, მაგრამ ვფიქრობ „ქუთაისს“ უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდა, რათა თავის მოედანზე ჩვენთვის რევანში აეღო. მეტოქეს დღეს ყველაფერი გამოუვიდა, რაც შეგვეხება ჩვენ, დაცვში ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ პლეი ოფში.

**რეგულარული სეზონის საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 20 | 17 | 3 | 1781:1418 | 37 |
| 2.შსს | 20 | 17 | 3 | 1655:1299 | 37 |
| 3.რუსთავი | 20 | 14 | 6 | 1711:1481 | 34 |
| 4.არმია | 20 | 14 | 6 | 1744:1369 | 34 |
| 5.დინამო | 20 | 13 | 7 | 1583:1498 | 33 |
| 6.ქუთაისი | 20 | 12 | 8 | 1593:1451 | 32 |
| 7.სოხუმი | 20 | 9 | 11 | 1565:1611 | 29 |
| 8.თსუ | 20 | 6 | 14 | 1392:1601 | 26 |
| 9.ბათუმი | 20 | 5 | 15 | 1391:1645 | 25 |
| 10.თსსუ | 20 | 2 | 18 | 1267:1829 | 22 |
| 11.სტუ | 20 | 1 | 19 | 1342:1822 | 21 |

20 აპრილს სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩია, 23 აპრილს კი, პლეი ოფი დაიწყება. შეგახსენებთ მეოთხედფინალურ წყვილებს: ოლიმპი-თსუ; შსს აკადემია-სოხუმი; რუსთავი-ქუთაისი; არმია-დინამო.

მ. ყ.

# სკანვორდი



1. ქიმიური ელემენტი; 2. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912); 3. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 4. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 5. ... ფოქსი; 6. საყანწე მასალა; 7. ბატონი (ინგლისურად); 8. ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.); 9. საფუტკრე; 10. იგივეა, რაც ცთომილი; 11. თევზის წვნიანი კერძი; 12. საგნის კონტური; 13. „... შეჭამა ვენახი“; 14. ... გიბსონი; 15. ხელშეკრულებით დადგენილი ფულადი გასამრჯელო; 16. გადაბმული ნოტები (მუს.); 17. ქალბატონი (ინგლისურად); 18. ჭრილობა; 19. შლამის თევზი; 20. მდინარე აღმ. საქართველოში; 21. ... ალიევი; 22. ამაღლებული ადგილი ორატორისთვის; 23. „... დაიდარდო!“; 24. ფრანგი კომპოზიტორი (1683-1764); 25. ... ბრანდო; 26. ... შვარცენეგერი; 27. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 28. სურათი ზღვის ხედით; 29. „ქილილა და ...“; 30. ქალბატონი (ფრანგულად); 31. რინიტი; 32. საგრილობელი; 33. მდინარე იტალიაში; 34. უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი; 35. მამალი ცხენი; 36. საათის ჩვენება.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანერი; 2. ფაგოციტი; 3. ტრუბადური; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. „მაკაბი“; 11. ფანდანგო; 12. არქიელი; 13. ფრიზერი; 16. „კურლანდია; 17. ცირეკიძე; 19. „აბსოლუტი“; 21. სეული; 23. რომბი.

**თარაზულად:** 6. „ალადასტური“; 7. ბაიდარა; 8. ტერაცო; 9. ლიმონათი; 14. „ბრასკუბა“; 15. ბაქტრიანი; 18. გაგრა; 20. ლიქიორი; 22. „პირველი“; 24. ხენდრო; 25. ადმირალი; 26. ტაბიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მიკიტანი; 2. ქრონიკა; 3. ოდესა; 4. ბედლამი; 5. კუმურდო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ქსილიტი; 15. დეტექტივი; 16. სტინგი; 17. კუპიურა; 20. „ოპელი“.

**თარაზულად:** 6. ნიკორწმინდა; 7. შერბური; 8. ოკარინა; 9. მაროკო; 13. ჩოხა; 14. მელასა; 18. ალბატროსი; 19. ბუნტი; 21. შპიგი; 22. დისნეი; 23. პანტომიმა; 24. „ქრისტინე“.

# მწეველთა უმეტესობას თამბაქოსთვის თავის დანებება სურს

მერი ნამორაძე

## ინტერვიუ თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელ გიორგი ბახტურიძესთან

***— ბატონო გიორგი, საზოგადოებამ, ასე თუ ისე, იცის თამბაქოს უარყოფითი გავლენის შესახებ ჯანმრთელობაზე. მიუხედავად ამისა, რატომ რჩება იგი მაინც პოპულარულად?***

— ყველაზე მძლავრი იარაღი ამ თვალსაზრისით, პოპულარიზაცია რომ გაეწიოს თამბაქოს მოხმარებას, გახლავთ მასმედია, განსაკუთრებით ტელემედია, ბოლო პერიოდში — სოციალური მედია, სადაც ყოველდღიურ ეთერში ყველაზე პოპულარულ შოუპროგრამებში, გასართობ პროგრამებში, რომლებიც ახალგაზრდებზეა ორიენტირებული, სერიალებში, იქ მოთამაშე მწეველი გმირები სამაგალითოა. ეს არის ზემოქმედების ბერკეტი და არაპირდაპირი რეკლამის სახით ხშირად აფინანსებს ასეთ ფილმებს, სერიალებს, შოუ-პროგრამებს თამბაქოს ინდუსტრია. განსაკუთრებით გოგონებზეა აქცენტი გაკეთებული — რა მშვენიერები არიან, როგორ ეწევიან, ეს არის მთელი ფაბულა. არ აქვს მნიშვნელობა, ის ამბობს რამეს, არ ამბობს, მთავარია მოწევის პროცესი. ეს არის რეკლამა და რეკლამის შესახებ კანონის პირდაპირი დარღვევა, რაზეც არც ერთი ტელეკომპანია ჯერ არ დაჯარიმებულა, მაგრამ იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში ეს ზომა იქნება გამოყენებული და სრული აკრძალვა მოხდება რეკლამისა და პოპულარიზაციის. ნახეთ გარერეკლამები, აჭრელებულია მთელი საქართველოს ბილბორდები თამბაქოს რეკლამით. დაახლოებით ბოლო წლის განმავლობაში სერიოზულად მიდის ცხოვრების არაჯანსაღი წესის პროპაგანდა. სამწუხაროდ, ამას ხელს უწყობს მასმედია. მეორე — აქ არის ოჯახების პრობლემა, მშობლების დიდი ნაწილი თვითონ არის მწეველი და თვითონ აძლევენ მაგალითს და არანაირ ზომებს არ ღებულობენ ბავშვების ქცევასთან და აღზრდასთან დაკავშირებით. მესამე გახლავთ საბავშვო ბაღები და სკოლები, სადაც პედაგოგები ეწევიან თამბაქოს ბავშვების თანდასწრებით. ბავშვები იწყებენ სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწევას და თამბაქოს გასინჯვას, აქ დგება პასუხისმგებლობა განათლების სისტემის და მთლიანად სახელმწიფოსი. კონსტიტუციით სახელმწიფოა ვალდებული ადამიანისათვის შექმნას ჯანსაღი გარემო. ამ ჯანსაღი გარემოს შემადგენელი ნაწილია თამბაქოს გარეშე ცხოვრება. იმ 11 ათას ადამიანში, რომლებიც საქართველოში ყოველწლიურად თამბაქოს გამო იღუპება, ( ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები) 3 ათასი გახლავთ ისეთი, სახელმწიფოს უნიათობის გამო რომ პასიური მწეველობის მსხვერპლი გახდა. ადამიანი, რომელიც არ ეწევა და იძულებულია საზოგადოების თავშეყრის ადგილში, ტრანსპორტში თუ სხვაგან ჩაისუნთქოს 4 ათასამდე ქიმიური მომწამლავი ნივთიერება, წარმოიდგინეთ, ვის უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა, თუ არა სახელმწიფოს? და რა ხდება? ნორმალურ, ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა მოგვარდა, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მართლა პრიორიტეტული და ღირებულია, ჩვენთან ადამიანი და მისი უფლებები ყოველთვის ფეხქვეშ იყო გათელილი. თამბაქოს ინდუსტრია წამგებიანი დარგია ნებისმიერ ქვეყანაში და განსაკუთრებით საქართველოში — საქართველოს ბიუჯეტში საშუალოდ 150 მილიონი ლარი შემოაქვს ყოველწლიურად და გააქვს დიდი რესურსი დაავადებათა მკურნალობასთვის, როგორიცაა სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბო, ინფარქტი, ინსულტი, როცა ძირითადად რამდენიმე ხნით ხდება სიცოცხლის გახანგრძლივება. იხარჯება უამრავი რესურსი სახელმწიფოს მხრიდან. ბევრ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ აზღვევს ამ პროგრამებს და რაც ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში უშოვიათ, ერთ დღეში დგება საფრთხის ქვეშ და ღარიბი მოსახლეობა არაფრის ამარა რჩება.

***— ზოგადად მწეველთა უფლებები უფრო ირღვევა თუ არამწეველთა?***

— ორივეს უფლება ირღვევა. არამწეველის ირღვევა იმ თვალსაზრისით, რომ პასიური მწეველობის ქვეშ ხვდება. მწეველებს კი სახელმწიფო არ უქმნის გარემოს, მოტივი შეექმნას, გადააგდოს თამბაქო, შეამციროს მისი მოხმარება. დამხმარე სერვისები არ იქმნებოდა, რადგან არ იყო პოლიტიკური ნება. პრემიერმა ამაზე გაამახვილა ყურადღება, რომ მწეველებს უნდა შევუქმნათ გარემო, რეალურად დაანებონ თავი. უმთავრესი გახლავთ ის, რომ არ დაიწყონ მოწევა ბავშვებმა. არავინ წარმოიდგინოს, რომ ჩვენ მწეველებს ვებრძვით, პირიქით, მათ შევუქმნით პირობებს, რომ მომაკვდინებელ ჩვევაზე უარი თქვან. ეს ყოველდღიურად ახარჯვინებს ფინანსურ რესურსებს და ყველაზე მთავარ შეუფასებელ ღირებულებას — ჯანმრთელობას და სიცოცხლეს აკარგვინებს. გონიერი ადამიანი გადაწყვეტილებას მალე იღებს და ამაში უნდა დაეხმაროს სახელმწიფო რეგულაციებით და შესაბამისი გარემოს შექმნით.

***— მოწევაზე თავის დანებების პერსპექტივა ბევრ მწეველს ღიმილს გვრის და წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ ამას შეძლებენ. რას ეტყოდით მათ?***

— გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მწეველთა 60% გამოთქვამს სურვილს, დაანებონ თავი მოწევას. მათ საამისოდ ბევრი მოტივატორი სჭირდებათ, რომელიც სხვადასხვაა. ეს შეიძლება იყოს დაავადების გაჩენა, რის გამოც იძულებულია, დაანებოს თავი. მეორე — მისი მეგობრები აღარ ეწევიან და უხერხულობას უქმნის ის, რომ 10-დან 9 არ ეწევა და მხოლოდ თვითონ არის მწეველი. ფიქრდება ეს ადამიანი და ღებულობს გადაწყვეტილებას. მესამე — სამსახურში არ აძლევენ საშუალებას მოწიოს, იძულებულია თავი შეიკაოს მოწევისგან. ბევრ კერძო ორგანიზაციაში, რომელიც სერიოზულად კრძალავს სამუშაო ტერიტორიაზე მოწევას, მართლა ექმნება მოტივი ადამიანს გადააგდოს თამბაქო. ანუ აქ არის მოტივატორების არაერთი ფაქტორი, რომელიც ადამიანს სერიოზულ გადაწყვეტილებას აღებინებს. ერთობლივად ბევრი ფაქტორია საჭირო, მათ შორის მაღალი ფასი სიგარეტზე, ხელმისაწვდომობა რომ შემცირდეს, განსაკუთრებით ბავშვებში. რეკლამები რომ შეწყდება, აიკრძალება და ასე შემდეგ, ამას თავისი ეფექტი აქვს — თვალში რომ არ შეგეფეთება თამბაქოს მოხმარება. ამას დიდი გავლენა აქვს მწეველთა შემცირებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე და განსაკუთრებით გოგონებზე. თუ ერთობლივად იმოქმედებს ყველა ფაქტორი, რეალურად დაფიქრდება ადამიანი და მიიღებს ჯანსაღ გადაწყვეტილებას, ასევე დაეზოგება მას რესურსები და არც მის ოჯახს დააყენებს საშიშროების წინაშე.

***— ამა თუ იმ პროდუქციის გაძვირებას ყოველთვის უარყოფითი რეზონანსი მოჰყვება საზოგადოებაში. ჩვენ მძიმე შედეგებზე ვსაუბრობთ, რაც მოწევას მოსდევს, მაგრამ ჯარიმებისა თუ გაძვირების პირველ ტალღას როგორ მიიღებს საზოგადოება?***

— პირველ ეტაპზე საზოგადოებისთვის ეს შეიძლება მაინცდამაინც სასიხარულო არ იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, თუ სრულფასოვნად განხორციელდა ყველაფერი, თვითონ ხალხი ეტყვის მადლობას ამ მთავრობას. ჩვენ შევისწავლეთ წინასწარი განწყობა 2008 წელს ნორვეგიელებთან ერთად. კვლევის შესაბამისად საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვასთან, რეკლამის სრულ აკრძალვასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხარდამჭერი ოდენობა დაახლოებით 83%-ია. ანუ დიდი უმრავლესობა თანახმაა და მინდა გითხრათ, რომ წლებია ელოდება ამ კანონების აღსრულებას. არა მარტო არამწეველები, არამედ მწეველებიც იმიტომ, რომ ბევრ მწეველს იგივე რესტორნებში და ბარებში არ სიამოვნებს სხვისი კვამლის ჩასუნთქვა. არ სიამოვნებს თმა, ტანსაცმელი რომ ყარს თამბაქოს სუნით. სხვათა შორის, რესტორანი და ბარი ერთ-ერთი მთავარი რგოლია საიმისოდ, საზოგადოებაში მოხდეს გარდატეხა იმაში, რომ მოწევა მიუღებელია. რესტორნებსა და ბარებშიც იყო კვლევა ჩატარებული, მეპატრონეები აღნიშნავენ, რომ თუ რეალურად ამოქმედდება კანონი, ( და არა ერთეულებისთვის, რომ კლიენტი სხვაგან არ წავიდეს) ტოტალური მონიტორინგი უნდა განხორციელდეს და ნებისმიერი დამრღვევის მიმართ, ვინც უნდა იყოს, შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები უნდა გატარდეს. სასათბურე მდგომარეობაში არავინ უნდა აღმოჩნდეს. უმოკლეს ხანში მოსახლეობის დამოკიდებულება შეიცვლება. მწეველთა დიდი ნაწილი დაფიქრდება და შეამცირებს მოწევას.

**საერთაშორისო**

## გუანტანამოში დაცვასა და პატიმრებს შორის შეტაკება მოხდა



გუანტანამოში, აშშ-ს სამხედრო ციხეში პატიმრებსა და დაცვას შორის შეტაკება მოხდა, — იტყობინება „ბი-ბი-სის“ რუსული სამსახური.

პატიმრებმა მწყობრიდან გამოიყვანეს სათვალთვალო ვიდეოკამერები და ფანჯრები დაგმანეს; როდესაც მცველები საკნების შიგნით შევიდნენ, მათ პატიმრები თავს დაესხნენ.

ამერიკელი სამხედროების თქმით, სერიოზული ჭრილობები არავის მიუღია. პატიმრებს რეზინის ტყვიებით აშოშმინებდნენ. ბუნტი ციხის იმ ნაწილში მოხდა, სადაც თებერვლის ბოლოს რამდენიმე ათეულმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. პენტაგონის მონაცემებით, „მეექვსე ბანაკში“ 43 პატიმარი შიმშილობს, ზოგიერთ მათგანს ძალით კვებავენ. პატიმრების ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მოშიმშილეები უფრო ბევრნი არიან.

„ბი-ბი-სის“ მონაცემებით, მღელვარება მაშინ დაიწყო, როდესაც პატიმრების ნაწილი საერთო საკნებში გადაჰყავდათ.

გუანტანამოს უბე აშშ-ის მიერ კონტროლირებადი დიდი სამხედრო-საზღვაო ბაზაა (საიჯაროა 1903 წლიდან). 1959 წლის რევოლუციის შემდეგ კუბის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა აშშ-ს. კუბა მოითხოვს გუანტანამოს რაიონში მისი კუთვნილი სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიის დაბრუნებას.

2002 წლიდან ბაზის ტერიტორიაზე მოქმედებს ციხე.

## აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ „მაგნიტსკის სია“ გამოაქვეყნა



აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ საკუთარ ვებგვერდზე „მაგნიტსკის სია“ გამოაქვეყნა. ამის შესახებ „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება. სიაში მოხვედრილი 18 მაღალჩინოსნიდან, 16 უშუალოდ არის დაკავშირებული რუსი იურისტის, სერგეი მაგნიტსკის სიკვდილსა და რუსეთში ადამიანთა უფლებების დარღვევასთან. ე.წ. მაგნიტსკის სიაში 18 პირს შორის არიან ის გამომძიებლები, რომლებიც სერგეი მაგნიტსკის საქმეს აწარმოებდნენ. გარდა გამომძიებლებისა, სიაში მოხვდნენ საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლები, მოსამართლეები, პროკურატურის თანამშრომლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, „ბუტირკისა“ და „მატროსკაია ტიშინას“ იზოლატორის ყოფილი დირექტორები.

სიაში აღმოჩნდნენ მოსკოვის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ბოგატიროვი, რომელსაც ბრალი ედება ავსტრიაში რამზან კადიროვის ყოფილი დაცვის წევრის მკვლელობაში და კაზბეკ დუკუზოვი, რომელსაც ბრალი ედება 2004 წელს მოსკოვში, ამერიკელი ჟურნალისტის, პოლ ხლებნიკოვის მკვლელობაში. გავრცელებული ინფორმაციით, სიაში არ მოხვდნენ მაღალანაზღაურებადი რუსი ჩინოვნიკები.

ე.წ. „მაგნიტსკის სიის“ პირველი ვერსია 2010 წელს გამოქვეყნდა და მასში 60 ადამიანი მოხვდა. სიის საბოლოო ვერსიაში მოხვედრილ ჩინოვნიკებს აშშ-მა ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე სანქციები დაუწესა. ბრიტანული „ერმიტაჟ კაპიტალის“ იურისტი 37 წლის სერგეი მაგნიტსკი, რომელმაც რუსეთის ბიუჯეტიდან 230 მილიონი დოლარის მოპარვის სქემა გახსნა, რუსეთის ციხეში 2009 წელს წამებით გარდაიცვალა. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აშშ-ის მიერ გამოქვეყნებული ე.წ. „მაგნიტსკის სიის“ საპასუხო რუსული — „გუანტანამოს სია“ გამოაქვეყნა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იტყობინება. გამოცემის ინფორმაციით, რუსეთის მიერ შედგენილი სია, ამერიკული სიის მსგავსად, 18 ადამიანისგან შედგება. სიაში მოხვდნენ აშშ-ის ის მოქალაქეები, ვისაც ბრალი მიუძღვით „გუანტანამოს“ ციხეში ადამიანთა წამებესა და საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების უფლებათა დარღვევაში. თვრამეტივე მათგანს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა.

„სამწუხაროდ, აშშ-ის მხარემ იხელმძღვანელა რა აბსურდული „მაგნიტსკის სახელობის კანონით“, წარმოადგინა რუსეთის მოქალაქეების ნუსხა, რომელთაც დაუწესდათ სავიზო და ფინანსური სანქციები. აშშ-ის რუსოფობი კონგრესმენების ზეწოლით გადადგმული ამ ნაბიჯით მძიმე დარტყმა მიადგა ორი ქვეყნის ურთიერთობას“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ალექსანდრ ლუკაშევიჩის განცხადებაში.

## დენის როდმანი კიმ ჩენ ინთან მეორე შეხვედრისთვის ემზადება



ამერიკელი კალათბურთელი დენის როდმანი, რომელიც მარტის დასაწყისში შეხვდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს, ზაფხულში კვლავ მოინახულებს სახალხო რესპუბლიკას.

„მე ვბრუნდები (ჩრდილოეთ კორეაში) 1 აგვისტოს“, — განაცხადა მან. როდმანმა თავისი განმეორებითი ვიზიტის დეტალები არ დააზუსტა და განაცხადა, რომ „გამგზავრებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი“. „ჩვენ ვაპირებთ, რომ კარგი დრო გავატაროთ“, — ამატებს ყოფილი კალათბურთელი.

51 წლის როდმანი, საკალათბურთო გუნდ „ჰარლემ გლობტროტერსისთან“ და გადამღებ ჯგუფთან ერთად მარტის დასაწყისში ჩრდილოეთ კორეაში ჩავიდა და პირველი ამერიკელი გახდა, რომელიც კიმ ჩენ ინმა კორეის ხელმძღვანელის რანგში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ როდმანმა განაცხადა, რომ კიმ ჩენ ინს აშშ-სთან ომი არ სურს და პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან დიალოგისთვის მზად არის. „კიმ ჩენ ინს სურს, რომ ობამამ მას დაურეკოს. მან მთხოვა, რომ შეძლებისდაგვარად, აშშ-ს პრეზიდენტს ეს სიტყვები გადავცე“, — განაცხადა მან. თეთრ სახლში ამაზე უარით უპასუხეს. როდმანმა ასევე განაცხადა, რომ კიმ ჩენ ინს პატივს სცემს როგორც ადამიანს და მას საკუთარი მეგობარიც კი უწოდა; თუმცა ხაზი გაუსვა, რომ მისი, როგორც კორეის ხელმძღვანელის მოღვაწეობას არ იწონებს. ამ ფონზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, აღმოსავლეთის ქვეყნებში ტურნეს ფარგლებში, იაპონიას ეწვია. მოლაპარაკებების მთავარი თემა ჩრდილოეთ კორეაა. ჯონ კერი ტოკიოში პეკინიდან ჩავიდა, სადაც ამერიკა და ჩინეთი შეთანხმდნენ, გადაარწმუნონ კორეა არ გამოიყენოს ბირთვული პროგრამა.

ფხენიანის მიერ სარაკეტო სისტემის გამოცდის გამო, ტოკიოში ზენიტური რაკეტები „პეტრიოტი“ განლაგდა.

იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერი რაკეტის, იაპონიის საჰაერო სივრცეში აღმოჩენის შემთხვევაში, რაკეტა განადგურდება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე იავნანა ბერიძე; შვილები ლუარსაბი, გიორგი, ეკა; შვილიშვილები იავნანა და ანდრია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანდრე კარბელაშვილი**

პანაშვიდები: 14-15 აპრილი, 17.00 საათზე;
მის: კეკელიძის №5.
გამოსვენება: 16 აპრილი. 15.00 საათზე;
მის: ანჩისხატის ეკლესია

შვილები ვიოლა, გია, ძმა რეზო ოჯახით, შვილიშვილები სალომე, საბა, სიძე მორისი, რძალი რუსიკო, ძმისშვილები, დისშვილები, მძახლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვაჟა აკაკის ძე გოგოხია**

პანაშვიდი: 14, 15 აპრილს.
დაკრძალვა: 16 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: ქ.ზუგდიდი, მაცხოვრისკარის 31.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 15 აპრილი**

06.30 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებანი“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 17.00 დ/ფ „ამერიკის საიდუმლო“18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ“21.00 ტ/სერ „როსელა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „10.000 წელი ჩვენს ერამდე“ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „მეხიკო“ 09.00 მხ/ფ „დაუვიწყარი მოგზაურობა“ 10.40 მხ/ფ „მის კონგენიალურობა—2“ (ს.ბალოკი) 12.25 მხ/ფ „ფანტოცი სამოთხეში“ (პ.ვილაჯო) 14.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე“ 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო“ I ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“ 11 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 911.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ)16.00 სერ. „დამალული სიმართლე“17.50 სერ. „თილისმა“18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 6 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ „ბედს ვერ გაექცევი“ (ვ.ჰარილსონი) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“11.00 სერ. „იდუმალი ქალი“12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 „შუა დღე“15.30 ყველაზე ჭკვიანი17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“20.05 სერ „ერთგულების ძალა“22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 მხ/ფ „ვინ შეაკაზმავს ცხენს“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ეთნოგრაფია 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „კაცია ადამიანი?!“ 13.35 კონცერტი - ანს.„ურმული“ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ 17.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.40 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „მე დავბრუნდები“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.35 დოკ/ფ „თიხით მოუბარი“ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 მოკ/ფ „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“ 01.55 დოკ/ფ „მაჭახელა“

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მაღვიძარა 11.00 ღია კარის დღე 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.40 პრესპრესი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.15, 2.00 თოქ-შოუ „არგუმენტი“ 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ-შოუ - „პოლიტმეტრი“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6540 |
| ევრო | 2,1603 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5425 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3474 |

## ამინდის პროგნოზი 15 აპრილისთვის





## 23 აპრილიდან

## „ახალ თაობასთან“ ერთად




მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები


## ცირეკიძე და გოგია ბრინჯაოსმედალოსნები არიან

საქართველოს ძალოსანთა ნაკრებმა ტირანაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ორი ბრინჯაოს მედალი უკვე მოიპოვა. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში რაულ ცირეკიძემ, ხოლო 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში – დავით გოგიამ.



ცირეკიძემ პირველი მოძრაობა – ატაცი 165 კილოგრამიანი შტანგით დაიწყო და პირველსავე ცდაზე აიტაცა, მაგრამ მეორე და მესამე ცდაზე 168 კილოგრამი ველარ დაიმორჩილა. საბოლოოდ, მეორე მოძრაობას მეექვსე ადგილით შეხვდა.

აკვრაში ქართველმა ძალოსანმა პირველ წონად 198 კილოგრამი შეუკვეთა. მალე გამოიკვეთა, რომ ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მეორედ მოსაგებად ბრძოლა თითქმის შეუძლებელი იყო. აუხადოვი და მარკოვი საგრძნობლად დაწინაურდნენ, ცირეკიძის მთავარი ამოცანა კი საიახოვის ჩამოშორება გახდა, რათა ბრინჯაოს დაუფლებოდა. ჩვენებურმა ეს მეორე ცდითვე მოახერხა, როდესაც 205 კილოგრამი აჰკრა. ქართველმა ძალოსანმა სამეული გაინაღდა და მესამე ცდაზე უკვე 211 შეუკვეთა, რითაც მარკოვისთვის გასწრება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

გოგიამ პირველ მოძრაობაში – ატაცში სამივე ცდა გამოიყენა (177, 181 და 183) და მცირე ვერცხლის მედალი მოიპოვა. აკვრაში კი 213 და 218 კილოგრამები ასწია და 222-კილოგრამიანი შტანგაც თითქმის დაიმორჩილა, მაგრამ უკვე თავსზემოთ აწეული ვერ დააფიქსირა და საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა, არადა ცდის გამოყენების შემთხვევაში ვერცხლის მედალი განაღდებული ჰქონდა.

მ. ჟ.

## ნოდარ დუმბაძის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ აცხადებს ბავშვთა ნახატების კონკურსს „მე ვხედავ მზეს“.



როგორც რუსული კლუბის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ განაცხადა:

– ამ კონკურსის მიზანია ნოდარ დუმბაძის შემოქმედების პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის და ნიჭიერ ბავშვთა და მოზარდთა მხარდაჭერა. საკონკურსო ნამუშევრები უნდა იყოს შესრულებული ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით.

*– რა ასაკის კონკურსანტებს შეუძლიათ მონაწილეობა?*

– კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს და მოზარდებს 5-დან 17 წლამდე, რომლებიც ცხოვრობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

*– რას იტყვით გამარჯვებულებზე?*

– რაც შეეხება გამარჯვებულებს, ისინი გამოვლინდებიან სამ ასაკობრივ ჯგუფში: პირველი ჯგუფი – 5-დან 8 წლამდე; მეორე ჯგუფი – 9-დან 13 წლამდე და მესამე ჯგუფი – 14-დან 17 წლამდე. თითოეულ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 3 ნამუშევრისა. საკონკურსო ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული ნებისმიერ ტექნიკაში ა4 ფორმატის ფურცელზე. დაუსრულებელი ნახატები კონკურსზე არ მიიღება. საკონკურსო ნამუშევრები უკან არ ბრუნდება.

*– როდის სრულდება კონკურსი?*

– საკონკურსო ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა 15 მაისი. ჟიური გამოავლენს სამ-სამ გამარჯვებულს თითოეულ კატეგორიაში.

*– როდის გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი?*

– კონკურსის გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება გაიმართება ივლისში, როდესაც აღინიშნება ნოდარ დუმბაძის 85 წლის იუბილე. დაჯილდოვების ცერემონიის ზუსტი თარიღი დამატებით იქნება დაანონსებული. საუკეთესო საკონკურსო ნაშრომები წარმოდგენილი იქნება „რუსული კლუბის“ საიტზე და VI საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

## ასტროპროგნოზი 15 აპრილისთვის

ყველაზე გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, ყური მიუგდეთ გულისთქმას. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** – ახალი საქმე სარფიანი აღმოჩნდება. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** – თქვენი საქმე წინ მიდის, გელით ფული. **მორიელი** – გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლე. **მშვილდოსანი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **თხის რქა** – დაისვენეთ, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, ბევრი სიახლე გელით. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ანკარაში მოლაპარაკებები დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

ანკარაში მოლაპარაკებები დასრულდა. თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარისა და თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილის ოზგურ ოზასლანის ოფიციალური შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ 17 აპრილს, თურქეთში ქართველი სპეციალისტებისგან შემდგარი დელეგაცია გაემგზავრება.



თურქულმა მხარემ სრულად გაიზიარა ქართული მხარის პოზიცია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ქართველი სპეციალისტების ჩართვა რეკომენდაციებისა და მითითებების შესამუშავებლად, თუ როგორ უნდა გაგ-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## დედაენა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის სამინისტრომ დედაენას და კიდევ 4 ნომინანტს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრეზენტაცია დედაენის – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის, ასევე ცეკვა ფერხულის, ბერიკაობის, კახური მრავალჟამიერისა და ქალაქური მრავალჟამიერისათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

– 14 აპრილს საქართველო აღნიშნავს „დედაენის“ დღეს, თარიღს, რომელსაც ჩვენი მშობლიური ენისთვის, მისი შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისათვის სუფთა სახით გადაცემისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ პროექტით მიულოცა ყველას დედაენის თარიღი, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მრჩევლები, კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წევრები. ასევე ეთერ თათარაიძე, გიორგი კალანდია, ერეკლე საღლიანი და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა ხელოვანები.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 მარტის №03/43 ბრძანების საფუძველზე დედაენას – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს, ასევე ცეკვა ფერხულს, ბერიკაობას, კახურ მრავალჟამიერსა და ქალაქურ მრავალჟამიერს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

– დედაენის სტატუსის მინიჭების ინიციატორი გახლავთ „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება“, რომელთაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეადგინეს ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაცია. განუზომელია ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“. ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო – „დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილმა პირველად გამოსცა 1876 წელს, 1925 წელს განხორციელდა წიგნის 45-ე გამოცემა. 1925 წლიდან მოყოლებული გამოდის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოები. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „დედაენა“ ფაქტობრივად გასცდა საავტორო სახელმძღვანელოს ფარგლებს და იქცა ზოგადსახალხო ფასეულობად, – განმარტა მინისტრმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, „დედაენას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და ამდენად მოექცა სამართლებრივი დაცვის ჩარჩოში.

– ამ შემთხვევაში „დედაენა“ იქნება მეტად დაცული, ის საავტორო არედან გამოდის და სრულიად ქართველი კაცის საკუთრება ხდება და ვერავინ გაბედავს მას ზიანი მიაყენოს. სამომავლოდ ვგეგმავთ უფრო მაღალი რანგის სტატუსი მივანიჭოთ და იუნესკოს დონეზე ავიყვანოთ ჩვენი სათაყვანებელი წიგნი, რომელმაც თაობები გაზარდა და კიდევ ბევრ თაობებს გაზრდის, – დასძინა გურამ ოდიშარიამ.

**იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარის გოგი გოგოლაშვილის თქმით:**

– ეს არის დაფასება და ძალიან კარგი შეფასება იმ დიდი ღვაწლისა, რაც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართული სკოლის წინაშე. ეს აღიარებაა და ამავე დროს არის გარანტია იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის ხელყოფა არ მოხდება და იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო დაიბრუნებს თავის ადგილს ქართულ სკოლაში.

სრულიად საქართველომ 14 აპრილს დედაენის დღე აღნიშნა. 35 წლის წინათ, 1978 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა. სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული უნდა დარჩენილიყო. შესაბამისი ცვლილება საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში უნდა შესულიყო, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ის საქართველოს უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა. თუმცა იმავე დღეს თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე გამოსული რამდენიმე ათასი ადამიანი ამ განზრახვის აღსრულებას წინ აღუდგა. მათ შორის უდიდეს ნაწილს სტუდენტი ახალგაზრდობა შეადგენდა. დედაქალაქში მოეწყო მასობრივი მსვლელობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უმაღლესი საბჭოს (ახლანდელი პარლამენტის) შენობისა-


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ბავშვების საყვარელი ტყუილი; 5. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმის მიხედვით; 7. კლასიკური ჭიდაობის ილეთი; 9. სამაგიეროს გადახდა; 10. ცალთვალა დევი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. რაიმე ნაგებობის საწყისი ჩონჩხი; 14. ავეჯის ნაწილი; 15. ლარნაკი; 19. ... ჩელენტანო; 20. საუკეთესო, სრულყოფილი; 21. იტალიური „ნიღბების კომედიის“ მხიარული პერსონაჟი; 22. ტკბილი თხევადი საჭმელი.

**შვეულად:** 1. პატარა ეკლებიანი ცხოველი; 2. ტროპიკული ქარი; 3. რაიმე საგნის სწავლების წესები; 4. მუქი ლურჯი საღებავი; 6. ნატეხი შაქარი; 8. ავი სული; 11. უცხოეთიდანჩ ამოსული მსახიობის ან დასის გამოსვლა; 12. უბედურებებით სავსე ყუთის მფლობელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. საგრილობელი; 17. სამოთხე; 18. მზის სისტემის პლანეტა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი